საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რომელიც ბოლ-ვური სიფცვაა, ფაფიოებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკეთესობაზე უსამაგალითია.

შაბათი, 13 იანვარი. 2018 წ. №8 (8409), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ნარკოპოლიტიკა

ნაჩქარევი გადაწყვეტილება ქვეყნისთვის დამღუპველია!

საპატრიარქო ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციის კანონპროექტს საგანგებო განცხადებით ეხმიანება

პარლამენტში მსუბუქი ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებული კანონპროექტის განხილვის საკითხზე საქართველოს საპატრიარქო განცხადებას ავრცელებს:

„როგორც ცნობილია, გასული წლის 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტმა მსუბუქი ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციის ინიციატივას პრინციპების დონეზე მხარი დაუჭირა, რამაც საზოგადოებაში აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია და აღნიშნულ საკითხს, ზოგადად, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქიც შეეხო „საშობაო ეპისტოლეში“.

ვინაიდან პარლამენტში ამ თემასთან დაკავშირებით შეხვედრები კვლავ გრძელდება, გვინდა, დამატებით განვაცხადოთ შემდეგი: მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ ნარკოტიკების მოხმარება მძიმე ცოდვაა, მაგრამ საქართველოს საპატრიარქო არასოდეს უჭერდა მხარს და არც ახლა ეთანხმება ნარკომანიით დაავადებულთა მიმართ პატიმრობის შეფარდებას.

მაგრამ ვიდრე აღნიშნული განხორციელდება, ჩვენი აზრით, საჭიროა შემდეგი საკითხების დროულად გადაწყვეტა:

ა) ეკლესია ყოველთვის მკვეთრი ღონისძიებების გატარების მომხრე იყო ნარკოტიკების გამავრცელებელთა მიმართ, რადგან ეს არის დანაშაული ერის წინაშე და ამ ქმედებას სახელმწიფო მთელი სიმკაცრით წინ უნდა აღუდგეს, რაც დამატებით რეგულაციებში უნდა აისახოს;

ბ) ჩანს რომ, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები ამ ეტაპზე მზად არ არიან მოსალოდნელი ნეგატიური ტენდენციების კონტროლისათვის და ყველამ თავისი ხედვა უნდა წარმოადგინოს;

გ) აუცილებელია, ოჯახის წევრები და, განსაკუთრებით, ბავშვები დაცული იყვნენ ნარკოდამოკიდებული წევრის მავნე გავლენისგან;

დ) ქვეყანაში არ არის სათანადოდ მოწყობილი სპეციალური სარეაბილიტაციო ცენტრები, სადაც ნარკომანიით დაავადებულ ადამიანებს გამოსწორების საშუალება ექნებათ და ეს მდგომარეობა მალე უნდა შეიცვალოს;

ე) ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებით საჭიროა მედიასაშუალებების აქტიური ჩართულობა, რომ, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით, ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივი აზრი;

ვ) აუცილებელია სასწავლებლებში სპეციალური კურსის შემოღება, რომ, პირველ რიგში, ახალგაზრდობამ გააცნობიეროს, ნარკოდამოკიდებულებების შემთხვევაში, რას უქადის მათ ხვალინდელი დღე და შეექმნათ უარყოფითი განწყობა;

ზ) უნდა გამკაცრდეს ზომები აღნიშნული ნარკოტიკების უკანონო შემოტანასთან, გავრცელებასთან, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და განსაკუთრებით არასრულწლოვანთა წრეში მის მოხმარებასთან დაკავშირებით;

თ) აუცილებელია, ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, განისაზღვროს ნარკოდამოკიდებული ადამიანების სამუშაოთი უზრუნველყოფის საკითხი და სხვა.

კანონპროექტის წარმოდგენილ ვარიანტში კი ეს მიმართულებები არ არის ასახული, რაც მისი განხილვის შეჩერების აუცილებლობაზე მეტყველებს.

ამასთან, საჭიროდ მიგვაჩნია, მოეწყოს აღნიშნული თემის ფართო, საზოგადოებრივი განხილვა ხელისუფალთა, ფსიქოლოგების, ექიმების, იურისტების, სასულიერო პირთა, ადამიანის უფლებადამცველების, ჟურნალისტების, პედაგოგთა, საერთოდ ინტელიგენციის, სამართალდამცავთა და სხვათა ჩართულობით, რათა ნაჩქარევმა გადაწყვეტილებებმა ქვეყანა დიდი განსაცდელის წინაშე არ დააყენოს“, — ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

მეცნიერები ნარკოპოლიტიკის კანონპროექტის ალტერნატიულ ვერსიას მოამზადებენ!

ნარკოპოლიტიკის კანონპროექტის ალტერნატიულ ვერსიას ახალი სამუშაო ჯგუფი მოამზადებს, — ეს გადაწყვეტილება მეცნიერთა აკადემიაში ნარკოპოლიტიკის შესახებ გამართული შეხვედრის შემდეგ მიიღეს. **სამუშაო ჯგუფი მეცნიერებით, დეპუტატებით, საერთაშორისო ორგანიზაციებითა და დაინტერესებული პირებით დაკომპლექტდება.**

მეცნიერები აცხადებენ, რომ ალტერნატიული პროექტი უნდა ითვალისწინებდეს დღეს არსებულ რეალობას, ასევე უნდა მოიცავდეს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის შემთხვევებს, პრევენციასა და ნარკომომხმარებელთა რიცხვის შემცირებას. მათივე თქმით, შესაძლებელია ახალი პროექტის შექმნა, რომელიც შემდეგ განსახილველად საზოგადოებას წარედგინება. ცნობილია, რომ მეცნიერები დღეს არსებულ კანონპროექტს არ ეთანხმებიან, არგუმენტად კი სანქციების ჰუმანურობას და მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდას ასახელებენ.

მწარე სიმართლე

5

როგორ გაამდიდრა შევარდნაძემ საკაშვილი,

ანუ უკანონოდ მიტაცებული და „კანონის“ სახელით წართმეული ქონება!

4

ეს კახიშვილი იმდენს იზამს, ცხეში ჩავჯდები!

7

ნინო ხოფერია:

არისტოკრატია ჩვენში და სხვაგან

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის ოჯახი დიდ მადლობას უხდის მთელ ქართველ საზოგადოებას, ყველა ორგანიზაციასა და ყველა პიროვნებას, ვინც გაიზიარა ჩვენი დიდი მწუხარება ქალბატონი

მარიამის

გარდაცვალების გამო.

2018 წლის განმავლობაში გუდაურში რამდენიმე საბაგირო აშენდება...

პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი გუდაურში მნიშვნელოვანი ტურისტული პროექტების მიმდინარეობას გაეცნო.

დიმიტრი ქუმსიშვილმა გუდაურში სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის ოფიციალური გახსნის ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა. სკოლა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „მთის კურორტების განვითარების კომპანიამ", განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაციამ დააფუძნეს. სასწავლებელს აგრეთვე მხარდაჭერა აღმოუჩინა „ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა", რომელმაც სკოლას ნახევარ მილიონ აშშ დოლარზე მეტი დაფინანსება გამოუყო საგრანტო პროგრამის ფარგლებში.

ტურისტული სასწავლებლის ოფიციალურ გახსნაში ასევე მონაწილეობა მიიღეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ ქეთევან ნატრიაშვილმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის" დირექტორმა ალექსანდრე ონოფრიშვილმა და სამთო გამყოლთა დარგის სპეციალისტებმა.

ოფიციალური მისალმებისას, პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა დიდი შეფასება მისცა საქართველოში სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დაფუძნებას და პროფესიონალი სამთო გიდების მომზადებას. მისი თქმით, საქართველოში ტურისტების რაოდენობის ზრდასთან ერთად აუცილებელია მიწოდებული სერვისების ხარისხის გაუმჯობესებაც. დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, სათავგადასავლო ტურიზმის სკოლაში სწორედ იმ პროფესიის ადამიანები მომზადდებიან, რომელთა დასაქმებაც პრაქტიკულად გარანტირებულია და ვინც ჩვენს ქვეყანას ტურიზმის განვითარების მიმართულებით ძალიან სჭირდება.

საპატიო სტუმრებმა დაათვალიერეს სკოლის შენობა, რომელიც მსგავს სასწავლებლებს შორის მსოფლიოში ყველაზე მაღალ ნიშნულზე - 2800 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს.

გახსნის ოფიციალური ცერემონია სკოლის პირველი კურსდამთავრებულებისთვის (30-მდე სათხილამურო გამყოლის, საფეხმავლო გამყოლისა და სამთო გამყოლის) სერტიფიკატების გადაცემით და სამახსოვრო ფოტოს გადაღებით დასრულდა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო „საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" დებულებას განიხილავს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში „საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" დებულების საჯარო განხილვა გაიმართა. შეხვედრაზე მინისტრის მოადგილემ ნინო თანდილაშვილმა გარემოსდაცითი ზემოქმედების შეფასების, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისა და ტრანსსასაზღვრო გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცეში საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

დებულება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პრინციპებიდან გამომდინარე, მომზადდა და მიზნად ისახავს, სამინისტროს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ეფექტიანი მექანიზმების დანერგვას, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართულობის მაღალ სტანდარტებს გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე.

ბიძინა ივანიშვილის სარჩელის განხილვა ჟენევაში 15 იანვარს იგეგმება

ექსტრემალური შემთხვევა, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სანდო საფინანსო ორგანიზაცია Credit Suisse-ს ეხება ორშაბათს, 15 იანვარს ჟენევაში იქნება განხილული. შვეიცარული Le Temps-ის ინფორმაციით, საქმის განხილვაზე დასასწრებად გამგზავრებას არ აპირებს საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ რუსეთის ყოფილი დეპუტატი და ოლიგარქი ვიტალი მალკინი მას უნდა დაესწროს.

Credit Suisse საერთაშორისო სკანდალის მიზეზი ბიძინა ივანიშვილისა და მისი ბიზნესპარტნიორის ვიტალი მალკინის სარჩელია. ისინი შვეიცარიულ ბანკს ფულის გათეთრებასა და თაღლითობაში ადანაშაულებენ, რითიც მიყენებული ფინანსური ზარალი 150 მილიონ დოლარს შეადგენს. საქმეზე ივანიშვილის პარტნიორი უკვე მეორე წელია, დაკავებულია. მოსარჩელეთა მთავარი ინტერესი სეკვესტრირებულ ანგარიშებზე განთავსებული 80 მილიონი დოლარია, უცნობია აღნიშნული თანხა ბიძინა ივანიშვილის ანგარიშზე ჩაირიცხება თუ Credit Suisse-ის ბალანსზე გადავა.



გამოცემის ცნობით, საქმეზე მილიარდერებს იმდენი იურისტი წარმოადგენს, რომ სასამართლოს დარბაზის გადაწყობა გახდა საჭირო, რათა დარბაზმა ყველა დამსწრე დაიტიოს. საქმეზე პარალელური გამოძიება შვეიცარიაში, სინგაპურში, ახალ ზელანდიასა და ბერმუდის კუნძულებზეც მიმდინარეობს.

მაღლაფერიძეს ულტიმატუმის ვადა ამოეწურა, რა მისწერა დირექტორმა ბორდს?

საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის მიერ ვასილ მაღლაფერიძისთვის მიცემული ულტიმატუმის ვადა ამოიწურა. ბორდი მაღლაფერიძისგან წერილობით ელოდებოდა პასუხს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოხვდა „მოამბის" ეთერში შსს-ს ვიდეომასალა, რომელიც მობილური ტელეფონით იყო გადაღებული პოეტ ზვიად რატიანის საქმესთან დაკავშირებით.

როგორც „პირველ რადიოს" ბორდის წევრმა ქეთევან მსხილაძემ განუცხადა, მაღლაფერიძემ ბორდს მხოლოდ ის მისწერა, რომ ის მზად არის შეხვედრისთვის. მსხილაძის განცხადებით, ბორდი მაღლაფერიძეს, სავარაუდოდ, მომავალ კვირას შეხვდება, თუმცა ეს არ არის დამაკმაყოფილებელი, რადგან მსხილაძის განცხადებით, ბორდს კვლავ არ ექნება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ და რა გზით მოხვდა სამინისტროს მასალა „მოამბის" ეთერში.

„როცა ვეჭიდავებოდი ძირს დაწოლაზე, იარაღი მაშინ გავარდა" - მოწმე რობაქიძის მკვლელობაზე

„როცა ვეჭიდავებოდი ძირს დაწოლაზე, იარაღი მაშინ გავარდა", — განაცხადა სასამართლო პროცესზე დაკითხვისას მოწმე გიორგი ბაშალეიშვილმა. მისი განმარტებით, ტაბელური იარაღიდან მხოლოდ ერთი გასროლის გარდა, მეტი სროლა არ განუხორციელებია. პროკურორის კითხვაზე ტყვიის მეორე მასრა საიდან აღმოჩნდა შემთხვევის ადგილზე, ბაშალეიშვილმა უპასუხა, რომ ეს თავადაც უკვირს.

მოწმის განცხადებით მან აღნიშნული იარაღი დილით სამსახურში სამორიგეოში ჩააბარა და შემდეგ თუ სად წაიღეს, ეს მისთვის ცნობილი არ არის.

შეგახსენებთ, რომ იმჟამინდელი პატრულ-ინსპექტორი გიორგი ბაშალეიშვილი 2006 წელს ბუტა რობაქიძის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისთვისგაასამართლეს. მან ორწლიანი სასჯელი მოიხადა.

ხელახალი გამოძიების ფარგლებში, რომელიც 2012 წელს დაიწყო, სახელმწიფო ბრალდება ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეზე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას შსს ყოფილ მაღალჩინოსნებს ედავება. აღნიშნულზე ბრალდებულია 5 პირი : გურამ დონაძე, ირაკლი ფირცხალავა, ზაზა ბაქრაძე, დავით იაშვილი და ზურა მიქაძე.

ბათუმში სოციალურად დაუცველებს ეხმარებიან

ბათუმის მერიამ მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისთვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნის მიზნით საპილოტე პროგრამა აამოქმედა.

პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი სახის მატერიალური დახმარებები:

5 და მეტშვილიანი ოჯახებისთვის ყოველთვიურად — 150 ლარი;

70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე სამშვილიანი ოჯახებისთვის ყოველთვიურად — 80 ლარი;

70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოთხშვილიანი ოჯახებისთვის ყოველთვიურად — 100 ლარი;

70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 5 და მეტშვილიანი ოჯახებისთვის ყოველთვიურად —180 ლარი;

— უდედმამო ბავშვების ყოველთვიური დახმარება — 150 ლარი;

— მარტოხელა მშობლები ყოველთვიურად — 50 ლარი;

— 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახები ყოველ ერთ წლამდე ასაკის ბავშვზე ყოველთვიურად, კვების პროდუქტებისა და ჰიგიენური საშუალებების შესაძენად 60 ლარს მიიღებენ.

— 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახები, შვილის შეძენასთან დაკავშირებით, ერთჯერადი მატერიალური დახმარების სახით 800 ლარს მიიღებენ.

როგორც ბათუმის მერიაში განმარტავენ, მიმდინარე წელს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით განსაზღვრული ბიუჯეტი 1 მლნ 200 ათასი ლარით გაიზარდა.

LOT-ი საქართველოდან აშშ-ის მიმართულებით განხორციელებულ რეისებზე ფასდაკლებას აცხადებს

ავიაკომპანია LOT Polish Airlines-ი საქართველოდან აშშ-ის ზოგიერთი ქალაქის მიმართულებით განხორციელებულ რეისებზე ფასდაკლებას აცხადებს. პოლონური ავიაკომპანიის საქართველოს წარმომადგენლობაში განმარტავენ, რომ აქციის ფარგლებში ორმხრივი ავიაბილეთების შეძენა 23 იანვრამდე უნდა მოხდეს, ხოლო მოგზაურობა 12 თებერვლიდან 15 დეკემბრამდე პერიოდში უნდა დაიგეგმოს.

თბილისი-ნიუ-იორკი-თბილისი, 479 ევრო;
თბილისი-ჩიკაგო-თბილისი, 609 ევრო;
თბილისი-ლოს-ანჟელესი-თბილისი, 609 ევრო;
თბილისი-ტორონტო-თბილისი, 639 ევრო;

აღნიშნული ფასები მოცემულია მოსაკრებლების ჩათვლით. ფრენები სრულდება თბილისიდან ვარშავის გავლით.

მუხტარლის 6 წლით პატიმრობა მიესაჯა

აზერბაიჯანულმა სასამართლომ ჟურნალისტ აფგან მუხტარლის 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. გადაწყვეტილება ბელაქნის რაიონულმა სასამართლომ ცოტა ხნის წინათ მიიღო. პროკურორი მუხტარლისთვის 8 წლით თავისუფლების აღკვეთას ითხოვდა.

სასამართლოზე განცხადება თავად მუხტარლიმაც გააკეთა. მის წინააღმდეგ დაწყებულ გამოძიებას აბსურდული უწოდა და კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ის თბილისიდან სპეცსამსახურებმა გაიტაცეს.

წყვდიადი ხილული...

ქართველი თეოლოგის წარმატება

ამერიკის შეერთებულ შტატებში, „პრინსტონის თეოლოგიური მონოგრაფიების სერიის“ ეგიდით გამოიცა ახალგაზრდა ქართველი თეოლოგის, ფილოსოფიის დოქტორის კარლო ბორჯაძის წიგნი „წყვდიადი ხილული“, რომელიც ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნის — ესაია წინასწარმეტყველის 14 3-23 მონაკვეთის, როგორც ქრისტიანული სკრიპტის არქეტიპად აღქმის მცდელობას ეხება.



თავისთავად, უაღრესად სასიამოვნოა ის, რომ ასე გახშირდა უცხოეთის სოლიდურ გამომცემლობებში ქართველ ავტორთა თხზულებების გამოქვეყნება. ეს სიხარული ორმაგდება, როდესაც მსოფლიოს მასშტაბით, მომთხოვნი მკითხველის წინაშე წარმდგარი ავტორი ასე ახლგაზრდაა და ამისდა მიუხედავად, უმაღლესი პროფესიონალიზმითაა გამორჩეული. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საქმე ეხება თეოლოგიას, — ალბათ ურთულესს მეცნიერებათა შორის, სადაც რაიმე ახლისა და ღირებულის თქმა და სპეციალისტთა ყურადღების მიქცევა უკიდურესად ძნელია.

ძველი აღთქმის ესაიას წიგნის აღნიშნული ნაწილი მეტად საინტერესო შინაარსისაა და არაერთხელ გამხდარა კომენტარისა და ანალიზის ობიექტი. ბიბლიური კანონიკური ტექსტის ავტორი ბაბილონის ანონიმი მეფის ამბავს ჰყვება, თუ როგორ გაამპარტავნდა მონარქი, გამედიდურდა და ცოდვამ მოიცვა, როგორ დაეცა ამ ცოდვით შეპყრობილი და განადგურდა. კარლო ბორჯაძე თანმიმდევრულად — ფილოლოგიური, ისტორიული, ფილოსოფიური და რასაკვირველია, თეოლოგიური ასპექტების მოშველიებით — ესაიას წიგნის მე-14 თავის 3-23 მონაკვეთს ახალი აღთქმის შესაბამის პასაჟებთან აკავშირებს და სიღრმისეულ კავშირებზე მიუთითებს.

წიგნი შესავლისგან, 6 თავისა და დასკვნებისგან შედგება. აქვეა შესაბამისი საძიებლები და სამეცნიერო აპარატი.

შესავალი მოცულობით მცირეა, მაგრამ ავტორი თავის სათქმელს მეტად პოეტურად და სხარტად იწყებს. მას მოჰყავს დიდი ინგლისელი პოეტის ჯონ მილტონის (XVII ს) ცნობილი ლექსი და მისი ინტერპრეტირებით აყალიბებს მიზანს. „არა სინათლე, არამედ უფრო წყვდიადი ხილული...“ (No light, but rather darkness visible) — მილტონის ეს სიტყვები ერთგვარი ინსპირაციაა ავტორისთვის.

პირველი სამი თავი მთლიანად ფილოლოგიურ-ჰერმენევტიკულ კვლევებს ეთმობა და ამისთვის ავტორი ძველი აღთქმის ებრაულ ტექსტს იყენებს, რაც მის ნაშრომს მეტ ღირებულებასა და სანდოობას მატებს. კარლო ბორჯაძე ეძიებს იმ არქეტიპულ კავშირს, რომელიც მან ჯერ ინტუიციით და შემდგომ გონებით განჭვრიტა: ერთმანეთს დაუკავშირა საუკუნეებით ადრე შექმნილი ესაიას წინასწარმეტყველება და კანონიკური ქრისტიანული სიუჟეტი სატანის ცოდვით დაცემის შესახებ.

კარლო ბორჯაძე

მეოთხე თავში ავტორი მითისა და ისტორიის ურთიერთმიმართებას ეხება, რაც უკვე სცილდება თავიდან კონკრეტულად შემოხაზულ სამეცნიერო ინტერესის სფეროს და გლობალურ მნიშვნელობას იძენს. მისთვის მითი და ისტორია ურთიერთგახლართულია, ურთიერთგანმაზღვრელი და ხშირად გაიგივებულიც კი. მისი ფილოლოგიური ძიებანი ამის დასტურია.

მეხუთე თავი თითქოსდა წინარე თქმულის შეჯამებაა. კ. ბორჯაძე მსჯელობას შლის და მას მეტ ისტორიულ კონტექსტს აძლევს. ნაშრომი სრულ თეოლოგიურ პროფილს იღებს. მისი მსჯელობა არგუმენტირებულად უკავშირდება პლატონისტ ორიგენეს და პროტესტანტული ეკლესიის ერთ-ერთ გამორჩეულ მამას — ჯონ კალვინს. ორიგენე (III ს.) ქრისტიანობის ოფიციალურ აღიარებამდე მოღვაწეობდა, თავის დროზე დიდი სახელი მოიპოვა ასკეტური ცხოვრებითა და ბეჯითი შრომით, მაგრამ, საბოლოოდ, ქრისტიანული სამყაროს წყრომა დაიმსახურა პლატონური ფილოსოფიისადმი გადამეტებული ერთგულებისა და ზოგიერთი ქრისტოლოგიური საკითხის მიუღებელი ინტერპრეტაციისთვის. ის ერესის სიმბოლოდ იქცა. თუმცა, ორიგენეს 28 წლის ნაშრომი ძველი აღთქმის შესახებ საუკუნეებია, საინტერესო წყაროდ არის მიჩნეული. მან ძველი აღთქმა 8 სვეტად გამოსცა. პირველ სვეტში განთავსებული იყო ებრაული ტექსტი ებრაული ასოებით, მეორეში — ებრაული ტექსტი ბერძნული ასოებით, მესამესა და მეოთხეში — აკვილასა და სვიმახოსის თარგმანები, მეოთხეში — სეპტუაგინტა (პტოლემაიოსის მიერ 275 წელს 72 სწავლულის მიერ ებრაულიდან ბერძნულად გადათარგმნილი ტექსტი), მეშვიდესა და მერვეში კი — გვიანდელი თარგმანები, რომელთა ღირებულება შედარებით ნაკლები იყო.

ეს ნაშრომი „ექსაპლების“ სახელით იყო ცნობილი და წმინდა წერილის მკვლევართათვის საუკუნეების მანძილზე მნიშვნელოვან სახელმძღვანელოს წარმოადგენდა.

მე-16 საუკუნეში მოღვაწე ჯონ კალვინის თეოლოგიური მემკვიდრეობით დაინტერესებაც შემთხვევითი არა არის. რენესანსული აზროვნების განვითარების ამ ეტაპზე, როდესაც, თითქოსდა, გადავლილია შემოქმედებითი (ლიტერატურა, მხატვრობა, არქიტექტურა და სხვა) აღმავლობის პიკი, იწყება პრაქტიკულად მომხდარი სარწმუნოებრივი „რევოლუციის“ ფუნდამენტური კონცეპტუალური გაფორმება: თეოლოგიური და ფილოსოფიური საფანელის შექმნა. კალვინი თანამოაზრეებთან ერთად პიონერთა შორისაა. მის ძირითად დოქტრინებს შორის იყო თეზა მარადიული შეჩვენებისგან ადამიანის სულის გადარჩენაში ღმერთის აბსოლუტური უზენაესი როლის შესახებ. თუმცა, რენესანსულ მდინარებაში ღმერთის ადგილი სამყაროს ცენტრში აღარ არის. მის ადგილს ადამიანი იკავებს და „ჰუმანიზმიც“ თავის ძალმოსილებას იკრებს.

ასე რომ, ავტორის მიერ ეს დროსა და სივრცეში დაშორებული კლერიკალები გარკვეული აზრობრივი ლოგიკით გაერთიანდნენ და მათ ნაშრომთა ანალიზი ერთიან კონცეპტუალურ პარადიგმას დაექვემდებარა. ამას ემატება თანამედროვე თეოლოგების (Moberly, Brueggemann, Seitz და სხვა) ნაშრომთა საფუძვლიანი ანალიზი და ჩვენს წინაშეა შესანიშნავად კონსტრუირებული, ღრმა თეოლოგიური და ფილოსოფიური ნაშრომი, რომელსაც უკვე ჰყავს პროფესიონალ და მოყვარულ მკითხველთა ფართო წრე. წიგნის მეცნიერული სიცოცხლე ძალზე წარმატებულად დაიწყო.

მსურს, ეს მცირე მიმოხილვა კარლო ბორჯაძის შესანისნავი წიგნის შესახებ დავამთავრო წინასიტყვაობის ავტორის, გამოჩენილი მეცნიერის უოლტერ მობერლის (Walter Moberly) სიტყვებით:

„ბორჯაძის ნაშრომი შესანიშნავი შენატანია ბიბლიის დაუსრულებელ მეცნიერულ კვლევებში, ნათლად წარმოაჩენს მის ღირებულებასა და შედეგიანობას ძველი აღთქმის გაგებასა და მიმართებებში“.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მივულოცოთ ახალგაზრდა მეცნიერს კარლო ბორჯაძეს ძალზე სერიოზული გამარჯვება და მომავალი წარმატებები ვუსურვოთ.

გ. კვესიტაძე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი

რ. შენგელია,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

◎ თვითმხილველი იგონებს

ჩვენს მიერ საქართველოსთვის ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებების გადაცემამ მოსკოვი ძალიან გააბოროტა“

ინტერვიუ უკრაინის სამხედრო დაზვერვის ყოფილ ხელმძღვანელთან, გენერალ-ლეიტენანტ ვიქტორ გვოზდთან

ამ დღეებში კიევში გამოვიდა მემუარული წიგნი სათაურით **„უკრაინის სამხედრო დაზვერვა მეორე ათასწლეულის მიჯნაზე“, რომლის ავტორია მზვერავი და დიპლომატი, თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი, უკრაინის სამხედრო დაზვერვის ყოფილი ხელმძღვანელი ვიქტორ გვოზდი.**

მან ინტერვიუ მისცა გაზეთ „Факты и коментаррий“-ს კორესპონდენტს **იგორ ოსიპჩუკს** და, სხვა საკითხებთან ერთად, 2008 წლის აგვისტოში მომხდარ რუსეთ-საქართველოს ომში უკრაინის როლზეც ისაუბრა.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ამონარიდს ინტერვიუდან:

— თქვენ უკრაინის სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელად 2008 წელს დაინიშნეთ. აცნობიერებდით თუ არა იმ დროს, რომ რუსეთი ჩვენი ქვეყნისათვის უპირველესი მტერია?

— რა თქმა უნდა. სწორედ იმ წელს შეიჭრნენ რუსეთის ჯარები საქართველოში. ჩვენმა ქვეყანამ საქართველოს მხარი დაუჭირა და აუცილებელი საბრძოლო იარაღი მიაწოდა. მოსკოვი ყველაზე ძალიან გააბოროტა **ჩვენს მიერ საქართველოსთვის ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის საშუალებების გადაცემამ, რომელთა მეშვეობით რუსეთის რამდენიმე თვითმფრინავი ჩამოაგდეს.**

იმ სიტუაციაში მოსკოვსა და კიევს შორის ურთიერთობის გამწვავების კიდევ ერთი მიზეზი გახდა **რუსეთის მიერ შავი ზღვის ფლოტის შესახებ ხელშეკრულების დარღვევა, რაც იმაში გამოიხატა, რომ ყირიმში, სევასტოპოლში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო-საზღვაო ბაზის ხომალდებმა საქართველოსთან ომში მონაწილეობა მიიღეს. უკრაინამ მტკიცე პროტესტი განაცხადა და აღნიშნა, რომ კიევს აქვს უფლება, საქართველოს წინააღმდეგ აგრესიაში მონაწილეობის მიმღები გემები უკან, სევასტოპოლის ბაზაში აღარ შეუშვას. გარდა ამისა, უკრაინის თავდაცვისა და უშიშროების ეროვნულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, სევასტოპოლის ბაზაში დისლოცირებულ რუსულ სამხედრო ხომალდებს უკრაინის სახელმწიფო საზღვრის უნებართვოდ გადაკვეთის უფლება არ ჰქონდათ. მოსკოვმა კატეგორიული უარი განაცხადა უკრაინის მოთხოვნების შესრულებაზე. მეტსაც გეტყვით, შეიარაღებული კონფლიქტის საფრთხეც იქმნებოდა იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის გემები სევასტოპოლისაკენ გაჭრას შეეცდებოდნენ.**

იმ რთულ მომენტში უკრაინამ თავისი ინტერესების დაცვის დემონსტრაცია მოახდინა: რუსეთს აჩვენა, თუ რა შეუძლია — ჩაატარა სამხედრო-საზღვაო წვრთნები და უმოკლეს დროში ყირიმში მსხვილი სამხედრო ქვედანაყოფები გადაისროლა. რუსეთის სპეცსამსახურებმა მაშინ უკრაინის წინააღმდეგ მიმართული საინფორმაციო ომი მკვეთრად გააძლიერეს: კერძოდ, **აცხადებდნენ, რომ თბილისისათვის იარაღის გადაცემით „უკრაინა საქართველოს აგრესიას აქეზებს სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ“. ამგვარი ხელოვნური ბრალდებით მოსკოვმა ხელი შეუშალა უკრაინის მონაწილეობას ქართულ-რუსული კონფლიქტის მოგვარებაში.** ამის მიუხედავად, ჩვენი ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო პოლონეთის, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ლიდერებთან ერთად, თბილისში სამშვიდობო მისიით მაინც ჩავიდა.

„Факты и коментаррий“(უკრაინა)

ეს კანიშვილი იმდენს იზამს, ციხეში ჩავჯდები!

„ნუ ჩაასხამთ ახალ ღვინოს ძველ ტიკებში!“ — ეს ფორმულა არის უმთავრესი, რაც ახალი ქვეყნის მშენებლებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ. რეფორმა ფორმის, ავტომობილების, ოფისებში კომპიუტერების დ.ა.შ. შეცვლა არ არის.

რეფორმა პირველ რიგში დამყაყებული მენტალიტეტისგან გაწმენდაა. იმ მენტალიტეტისგან, რომელიც მოსახლეობაში დეპუტატის, მოსამართლის, პოლიციელის, სოციალურ სისტემაში დასაქმებულის და, საერთოდ, ჩინოვნიკის მიმართ უნდობლობას იწვევს.

რეფორმა პირველ რიგში სახელმწიფო სტრუქტურების თავკერძა ხალხისგან გათავისუფლება და იქ საქმეზე რეალურად შეყვარებული და არსებული რეალობის გულთან მიმტანი ხალხის მიყვანაა.

ცხადია, დაკისრებული საქმის ცოდნა აუცილებელია, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, თუ ვის აკისრია საქმის გაკეთება. თუ არ ვცდები, ნაპოლეონი ამბობდა — მთავარი ბრძანების გაცემა კი არაა, მთავარია, ვის დაავალებ ბრძანების შესრულებას. სტალინიც ამბობდა — კადრები წყვეტენ ყველაფერსო, მაგრამ სტალინი „რეფორმატორებს“ არ უყვართ და ამიტომ ამასაც არ დავწერ.

სწორედ ზემოთ ხსენებული „ტიპების“ თავშესაფრად გადაიქცა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურა და იმ პრინციპის — ოღონდ არაფერი გავაფუჭო და არაფერს გავაკეთებ (ინიციატივაზე და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებაზე ხომ საუბარიც არაა), გამო იუსტიციის საბჭო, მარეგულირებელი კომისიები, ეროვნული ბანკი და, საერთოდ, საბანკო სექტორი, სახელმწიფოსგან დამოუკიდებელ სტრუქტურებად გადაიქცნენ. მათს საქმიანობაში ჩარევის უფლება არა აქვს არც ხალხს და არც სახელმწიფო ორგანოებს.

უკაცრავად, მაგრამ ვერ გავიგე, რას ნიშნავს ასეთი პოზიცია?

ე.ი. გვაქვს რამდენიმე „სახელმწიფო“ სახელმწიფოში.

ეს ე.წ. სტრუქტურები არ ემორჩილებიან და, ფაქტობრივად, ხალხის ნების წინააღმდეგ მიდიან, რომლითაც არღვევენ საქართველოს უმაღლესი კანონის, კონსტიტუციის მეხუთე მუხლს:

1. საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.

2. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

3. არავის არა აქვს უფლება, რომ მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება.

კონსტიტუციის, როგორც უმაღლესი კანონის, შესრულება ჩვენი, ანუ ხალხის გადასაწყვეტია და სხვა არავისი!!!

დაბოლოს: მოხდა ფაქტი, რომელსაც საზოგადოების მხრიდან არაერთგვაროვანი შეფასება მიეცა.

პოლიციელებმა გააჩერეს პოეტი ზვიად რატიანი, რომელიც, რბილად რომ ვთქვა, არაადეკვატურად იქცეოდა. მეორე დღეს აღმოჩნდა, რომ მას ცემის კვალი ეტყობოდა.

ერთი შეხედვით, აქ ისეთი არაფერია, რამაც დიდი კამათი და დაპირისპირება გამოიწვიოს, მაგრამ საზოგადოება მაინც „აბობოქრდა“. იქ „მწერლებმა კრება ჩაატარეს“, აქ ე.წ. „სამოქალაქო სექტორი“ შეშფოთდა. იქ ხალხმა სოციალურ ქსელში ნამდვილი ცეცხლი დაანთო, აქ კი საერთოდ „ორი ყურის“ პრინციპი ამუშავდა. თქვენ წარმოიდგინეთ და ამ ფაქტმაც საკმაოდ მოახდინა განხილვებში აქტიურად ჩართული ბევრი ადამიანის ლუსტრირება.

დარწმუნებული ვარ, რომ იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც პოლიციელების მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებას ეხება, ყველა მოქალაქეს აქვს ჩამოყალიბებული აზრი იმის შესახებ, რომ არ შეიძლება პოლიციელს აგინო და არაფრით არ შეიძლება, ნასვამი მოქალაქე სცემო.

საზოგადოებამ აირჩია მკვეთრი პოზიციები და დადგა იმ მხარეს, რომელიც იცავდა პოეტის „უფლებებს“, ან მეორე მხარეს, რომელიც იცავდა მოძალადე პოლიციას.

არადა, გულწრფელად რომ ვთქვათ, რეალური ვითარება არავინ იცის ნაცემის და პოლიციელების მეტმა და, ცხადია, რომ ორივე მხარე „პირველ ჩვენებას აწვება“.

ამ დროს, ცხადია, რომ შსს იცავს „მუნდირის ღირსებას“ და ე.წ. სამოქალაქო სექტორი პოლიციისგან „დაჩაგრულს“.

ხალხი კი თავის ადგილს ამ კონფლიქტში განსაზღვრავს იმით, რომ „ევასება“ გამკაცრებული ზომები...

ამ დროს ჩნდება მესამე ფენა, რომელიც ყველაზე მეტია, რომლებსაც არ მოსწონთ „ძაღლები“, სურთ წესრიგი და პატიოსანი პოლიცია, ვერ იტანენ ფროიდის სავარაუდო პაციენტ „ხელოვანებს“ და ყველანაირად დისკრედიტირებულ სამოქალაქო სექტორს.

არადა, გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ: ყველაზე სწორი პოზიცია ამ მესამე ფენას გააჩნია.

ხელისუფლება, მიუხედავად იმისა, რომ ეცნობა ფეისბუქ-სტატუსებს, იცის (ყოველ შემთხვევაში, აუცილებლად უნდა იცოდეს) საზოგადოების განწყობები, სამწუხაროდ, ისევ იხრება ე.წ. „ფროიდის პაციენტების“ და ე.წ. არასამთავრობო სექტორის მხარეს. იხრება და სწორედ მათ სთავაზობს თანამშრომლობას. ცხადია, ამასაც აქვს გარკვეული მიზეზი: — ის მესამე ფენა, შერაცხილია არაცივილიზებული მენტალიტეტის ადამიანებად და მათთან ერთად დასხდომა და არსებულ პრობლემებზე რეალურად მსჯელობა „ცოდვაა“.

რაც არ უნდა მართლები იყვნენ პოლიციელები, ნებისმიერ შემთხვევაში საზოგადოებას მაინც ექნება გარკვეული ეჭვი.

ექნება იმიტომ, რომ ის იმიჯი, რაც პოლიციას ჰქონდა, ფაქტობრივად, არ შეცვლილა. არ შეცვლილა, რადგანაც ამ ბოლო წლების მანძილზე მომხდარმა საქმეებმა ყველაფერი ნათლად დაგვანახვა.

უნდობლობა დარჩა და რეალური ნაბიჯების გადადგმის გარეშე, უფრო გაღრმავდება.

თავიდან იყო სისტემის „გაპრავების“ მცდელობა: — რას იზამ, ჯერ კიდევ არიან დარჩენილი ნაცების ზონდერები და ვანოს მეხოტბეებიო. 5 წელიწადი გავიდა, ბატონებო. ხუთი წელიწადი და ამ დროში ყველაზე საშიში დაავადების მკურნალობა შეიძლება. უკვე ეს არგუმენტი აღარ ჭრის.

ზუსტად იგივე ხდება „არაძალოვან“ სახელმწიფო სტრუქტურებშიც, რომლებიც ხშირ შემთხვევაში უფრო უარესად იქცევიან!

ახლა რაც შეეხებათ იმ ე.წ. „ხელოვანებს“ და იმ ხალხს, ვინც „ვარსკვლავის“ ტიტულს აქეთ-იქეთ არიგებს:

მათ ღირსეული პასუხი გასცა 21 წლის ქართველმა მომღერალმა ნათია თოდუამ, რომელიც გერმანული „ახალი ხმის“ გამარჯვებული გახდა. გოგონამ ამ საკმაოდ რეიტინგულ შოუში მაყურებელთა ხმების 50% მოიპოვა. ცნობისთვის ვიტყვი, რომ მეორე ადგილზე გასულმა კონკურსანტმა ხმების 25% მიიღო.

თბილისში დაბადებულმა და გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში გაზრდილმა გოგონამ გალის მე-13 სკოლა დაამთავრა. მუსიკალური განათლება არასდროს მიუღია და 17 წლის ასაკში პირველ მუსიკალურ პროექტში მიიღო მონაწილეობა, არა მარტო დიდი წარმატება მოიპოვა, მან უდიდესი პასუხისმგებლობა დააკისრა იმ ე.წ. „ჟიურის“ წევრებს, რომლებიც რატომღაც საკუთარი განწყობის მიხედვით წყვეტენ თუ ვინ არის ნიჭიერი, ვის ეკუთვნის „ახალი ხმის“ წოდება, ვინ არის ნამდვილი X-ფაქტორი. წყვეტენ თუ ვინ უნდა წავიდეს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, ვინ უნდა წარმოაჩინოს საქართველო სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებში.

ნათიას გამარჯვება ორმაგად სასიხარულოა. ორმაგად, იმიტომ, რომ იქნებ ეს ფაქტი გახდეს დასაწყისი იმისა, რომ რომელიმე ახლობელი „ჟურნალისტის“ ნათქვამზე არ გაბანძდეს სიტყვები „მწერალი“, „მსახიობი“, „მომღერალი“ და არ გაუფასურდეს სიტყვა „ვარსკვლავი“.

იქნებ საზოგადოებამ ზუსტად ჩამოაყალიბოს თავისი დამოკიდებულება იმ ხალხთან, ვინც ამ თიკუნებს იძლევა და ოდესმე ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას.

ნათიას წარმატებას კიდევ ორი პოზიტივი უნდა დავუმატო. დავასახელო ის ორი ჩინოსანი, რომელთა მიერ გაკეთებულ საქმეებს ხალხი ნათლად ხედავს.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის კახა კახიშვილის მიერ მიღწეული წარმატებების შესახებ არაფერს დავწერ, რადგანაც ძალიან შორს წამიყვანს. მისი და მისი საქმეების დასახასიათებლად სოციალურ სქელში გამოქვეყნებულ ერთ სტატუსს მოვიყვან: „ეს კახიშვილი იმდენს იზამს, რომ ციხეში ჩავჯდები“.

რაც შეეხება მეორე ნათელ წერტილს, ეს თბილისის ახალი მერი კახა კალაძეა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ სამი თვეც არ გასულა, უკვე კარგად ჩანს ის შემართება, რითიც კალაძემ საქმიანობა დაიწყო, რაც ნამდვილად დიდ იმედებს იძლევა.

როგორც დაგპირდით, წერილს ამ პოზიტივებით დავამთავრებ...

გია გაბრიჭიძე

ხელფასი და დანამატი ერთიანდება...პრემიების გამოწერის გადაწყვეტილებას პირადად მე მივიღებ!

თბილისის მერის განცხადებით, ხელფასი და დანამატი ერთიანდება. კალაძემ გუშინდელ ბრიფინგზე განაცხადა, რომ მისი მოადგილეებისა და სამსახურის უფროსებისთვის ხელფასის მატება არ მომხდარა და გავრცელებული ინფორმაცია სიცრუეა:

„ადრე ხელფასი ცალკე იყო, დანამატი — ცალკე და პრემიაც ცალკე. ამიტომ ხელფასი და დანამატი ერთიანდება, რაც კანონის შესაბამისად ხდება. პრემიების გამოწერის გადაწყვეტილებას პირადად მე მივიღებ, ეს არის წახალისების ერთ-ერთი ფორმა და ეს არის ნორმალური. ეს ხდება ყველა განვითარებულ ქვეყანაში. მაგრამ ყველაფერი უნდა იყოს გონივრულად და შესაბამისად, მერი მიიღებს გადაწყვეტილებას თავისი სამსახურების მუშაობის შეფასების შედეგად, თუ ვის როგორ და რამდენი პრემია გამოუწეროს“, — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის გენგეგმა და კალაძის ულტიმატუმი

თბილისის მერმა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მნიშვნელობაზე გუშინ კიდევ ერთხელ ისაუბრა და განაცხადა, რომ სითი ინსტიტუტის მიერ წარდგენილი გეგმა არ შეესაბამება დაწესებულ სტანდარტებს. მისი თქმით, სითი ინსტიტუტთან 2 წლის განმავლობაში გაფორმებულია ხელშეკრულება, თუმცა ვერც გენგეგმის დასკვნითმა მე-6 დოკუმენტმა ვერ დააკმაყოფილა დადგენილი სტანდარტები.

„ხელშეკრულების თანახმად, ჩვენ დღეს გვეწურება ვადა, რომ მივიღოთ გადაწყვეტილება, მიიღებს თუ არა თბილისის მერია სითი ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ გენერალურ გეგმას, მის დასკვნით დოკუმენტს. ვაცნობიერებთ რა გენგეგმის მაღალ მნიშვნელობას, ჩვენი ქალაქისთვის ჩვენ ვერ მივცემთ საკუთარ თავს უფლებას დავუშვათ შეცდომა, წავიდეთ კომპრომისზე და არასრულყოფილი დოკუმენტი მივიღოთ. ჩვენ ვითვალისწინებთ ფაქტობრივ მოცემულობას და იმ სამუშაოებს, რომელიც უკვე გასწია სითი ინსტიტუტმა. ყველაფრის გათვალსწინებით ვაძლევთ მათ შესაძლებლობას, დღის ბოლოდე წარმოადგინონ გონივრული ვადა, თუ რა ვადებში შეძლებენ ამ დოკუმენტის სრულყოფას. ჩვენ ჩვენი მხრივ სრულ მზადყოფნას ვაცხადებთ მათთან კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ტარიფიდან გამომდინარე, მეწარმე იძულებულია, პურის ფასი გაზარდოს ან წონაში შეამციროს

პურპროდუქტების ასოციაციის ხელმძღვანელ მალხაზ დოლიძის ინფორმაციით, რამდენიმე საცხობში პური უკვე 5-10 თეთრით გაძვირდა. ტარიფიდან გამომდინარე მეწარმე იძულებულია, პროდუქციის ფასი გაზარდოს ან წონაში შეამციროს.

„ტარიფები იზრდება და ეს მეწარმისთვის მტკივნეულია, რადგან სწორედ ტარიფიდან გამომდინარე, ხდება პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშება, ხოლო თუ მეწარმეს პროდუქციის თვითღირებულება გაეზარდა, ორი გზა რჩება — ან პროდუქციის ფასი გაზარდოს ან წონაში შეამციროს“, — აღნიშნა დოლიძემ.

როგორ გააშდიდრა შევარდნაძემ სააკაშვილი, ანუ უკანონოდ მიტაცებული და „კანონის“ სახელით წართმეული ქონება!

სიტყვამ მოიტანა და როცა სააკაშვილის ბრალეულობაზე მიდგება საქმე, აქ არა მარტო გირგვლიანი, როგაქიძე ან ქუჩაში უმოწყალოდ დახვრეტილი სხვა ადამიანები უნდა მოვიაზროთ, არამედ საუბარი უნდა იყოს სისტემურ დანაშაულზე და „ნაცმოძრაობის“, როგორც დანაშაულებრივი მმართველი პარტიის, გასამართლებაზე!

სააკაშვილის **გარშემო საქართველოში ატეხილი აჟიოტაჟი და უკრაინაში მიმდინარე პროცესები, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მრავალმილიონიან უკრაინას ჩვენზე მეტად უჭირს — იქ არა მარტო სახელმწიფოს არსებობისთვის აუცილებელი ჭანჭიკებია მორყეული, არამედ, ეტყობა, ეროვნული ღირსებაც თავის დროზე ამერიკელების მიერ თავსმოხვეულ „მაიდანს“ გააყოლეს და ვეჭვობ, ოდესმე დაიბრუნონ!**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ე.წ. მსოფლმთავრობის აშკარა მხარდაჭერით სააკაშვილის რეპრესიული რეჟიმის მსხვერპლი აღმოჩნდა, ის, რაც უკრაინაში ხდება, წარმოუდგენელია ჩვენთან მომხდარიყო, ანუ, **უკრაინიდან გაძევებული პრეზიდენტი იანუკოვიჩი, დავუშვათ, ჯერ აჭარის მეთაურად დაეინიშნათ, ხოლო, შემდეგ მთავარი ოპოზიციონერის (ახალი „რევოლუციონერის“) ამპლუაში გვეხილა.**

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინამ ვერ გაბედა სააკაშვილი მსჯავრდებულის სკამზე დაესვა და შორიდან ეფლირტავება, ქართულმა მართლმსაჯულებამ „გაბედა“ და გირგვლიანის საქმეზე მას სამწლიანი თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა!

ახლა კი იმაზე მიდის მსჯელობა, ჩამოიყვანენ თუ არა ბორკილდადებულ პრეზიდენტყოფილს საქართველოში, აღსრულდება თუ არა მართლმსაჯულება, თუ მოქმედი პრეზიდენტი შეიწყალებს მას და ქართულ საზოგადოებას ისევ პირში ჩალაგამოვლებულს დატოვებს...

სხვათაშორის, ძალიან ბევრი უკმაყოფილო დარჩა სასამართლოს გადაწყვეტილებით — სააკაშვილისთვის, რომლის რეჟიმმა ენით გაუგონარი სისატიკე ჩაიდინა საკუთარი ხალხის მიმართ, სამწლიანი თავისუფლების აღკვეთა ეცოტავათ!

არადა, ყველას კარგად გვახსოვს, თუ როგორი აღტკინებით მოვიდა იგი ხელისუფლებაში, რა იმედებს ამყარებდა ეიფორიაში მყოფი ქართველი საზოგადოება ახალგაზრდა ენერგიულ „რეფორმატორზე“, მაგრამ, როგორ გააწბილა სააკაშვილმა ხალხის იმედები. თუმცა, არა მარტო გააწბილა, არამედ, ჯოჯოხეთის კუპრშიც ამოავლებინა თავი!

კარგად გვახსოვს ისიც, რა მემკვიდრეობა მიიღო მან შევარდნაძის ძირმომპალი ხელისუფლებისგან — როგორი მორყეული, უსისტემო, კორუფციის ჭაობში ჩაძირული ქვეყანა ჩაიბარა და ინსტიტუციური რეფორმებითა და ძალადობრივი სისტემის ჩამოყალიბებით როგორ აქცია იგი ელიტური კორუფციის ქვეყნად, სადაც ერთეულებმა (სააკაშვილის კლანმა და მისმა ფინიებმა) დიდძალი ქონება დააგროვეს შევარდნაძის კორუმპირებული ჩინოვნიკებისა და მათი ლობირებით გაქსუებული „ახალი ქართველების“ ძალადობრივი კონფისკაციის წყალობით!

ქუჩაში დახვრეტებს, ციხის ჯოჯოხეთს და ძალადობრივი რეჟიმის სხვა არაადამიანურ გამოვლინებებს არანაირი გამართლება არა აქვს, მაგრამ, დღეს, როცა უკანონოდ წართმეული ქონების დაბრუნებაზეა საუბარი, იქნებ, იმაზეც გვეფიქრა, როგორ იშოვეს შევარდნაძის ჩინოვნიკებმა და მათმა ბიძაშვილ-მამიდაშვილებმა მილიონები, როგორ ჩაიგდეს ხელში ჩალის ფასად (ხშირად გამილიარდებულ კუპონად და სიმბოლურ ერთ ლარად) სახელმწიფო ქონება და როგორ დატოვეს ხახამშრალი მისი უდიდებულესობა, ქართველი ხალხი?!

მე თქვენ გეტყვით და, დღე და ღამე ხელები ჰქონდათ დაკაპიწებული და ოფლი წურწურით გასდიოდათ, ან, მილიონები წინაპრებისგან მემკვიდრეობით მიიღეს. ამით იმის ხაზგასმა კი არ მინდა, რომ ქვეყანაში შეძლებულთა ფენა არ უნდა არსებობდეს, მაგრამ, გააჩნია, რა გზითაა ნაშოვნი ქონება!

სხვა ყველაფერი რომ გვეპატიებინა, შევარდნაძე მარტო იმისთვის უნდა დაგვესაჯა, რომ კორუფციის ჭაობში ჩაფლო ქვეყანა და ერის ქონება საძარცვავად ერთ მუჭა ავანტიურისტებს ჩაუგდო ხელში (ე.წ. „პრივატიზაცია“, მოქმედი საწარმოების ხელოვნური გაკოტრება და უნიკალური მანქანა-დანადგარების საზღვარგარეთ ჯართად გატანა) და ამით სათავე დაუდო ხალხის (სახელმწიფოს) ძარცვის ხარჯზე უკანონოდ გამდიდრებულთა და ღარიბ-ღატაკთა ფენას საქართველოში...

ამით იმის თქმა მინდა, რომ სააკაშვილის რეჟიმმა უმეტეს შემთხვევაში წაართვა იმათ, ვისაც უკანონოდ (არმად) ჰქონდა ნაშოვნი მილიონები საკუთარი ხალხის გაღლეტის ხარჯზე, თუმცა, სხვა საკითხია, რა ფორმით მოხდა წართმევა (და არა ქონების სახელმწიფოსთვის დაბრუნება), სრულად შევიდა თუ არა კონფისკირებული ქონება სახელმწიფო ბიუჯეტში, თუ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი სააკაშვილის კლანის ჯიბეში მოექცა?!

სამწუხაროდ, უფრო მეორე შემთხვევასთან გვქონდა საქმე, ანუ, როგორც ამბობდნენ, კონფისკირებული ქონება ხშირად სახელმწიფო ბიუჯეტში სრულად არ აისახებოდა...

როცა საპროცესო გარიგების საფუძვლად კატასტროფულ თანხებს ასახელებდნენ, ცხადი იყო, რომ სააკაშვილ-ადეიშვილის კანტორას ზუსტი ინფორმაცია გააჩნდა, ვის რამდენი ჰქონდა უკანონოდ მოხვეჭილი და არცთუ იშვიათად, უკანასკნელ „სარჩო-საბადებელსაც“ ართმევდნენ ხოლმე — იმისდა მიხედვით, ვინ როგორ „დაიმსახურებდა“!

შეუძლებელია, იმ არაადამიანური მოპყრობის გამართლება, რასაც სააკაშვილის რეჟიმის დროს ადგილი ჰქონდა წინასწარი დაკავების პროცესში, თუ ციხის სინამდვილეში, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **როცა უკანონოდ წართმეულ ქონებაზე ვსაუბრობთ, ისიც გავიხსენოთ, რამდენად კანონიერად იყო მოპოვებული მავანთა და მავანთა მიერ თავის დროზე ის ქონება?!** (სხვა საკითხია, ბიზნესის სახელმწიფო რეკეტი და რეჟიმის სამსახურში მისი იძულებით ჩაყენება).

თუ ასე არ მივუდგებით, მაშინ, არათუ სამართლიანობის აღდგენაზე, არამედ, ელემენტარულ ამქვეყნიურ სამართლიანობაზე საუბარი, წყლის ნაყვა იქნება და მეტი არაფერი!

ღმერთმა დამიფაროს, სააკაშვილის რეჟიმის გამართლებას ვცდილობდე, მაგრამ, **ერთია სისტემური დანაშაული, რომელმაც საზოგადოება ენით აუწერელ კატორღაში ჩააგდო და რომლის პატიებაც არ შეიძლება, მაგრამ მეორეა, ე.წ. „უკანონოდ წართმეული ქონების“ დაბრუნებაზე წარამარა საუბარი, რომელიც თავის დროზე ასევე უკანონოდ იქნა მოპოვებული!**

სიტყვამ მოიტანა და როცა სააკაშვილის ბრალეულობაზე მიდგება საქმე, აქ არა მარტო გირგვლიანი, რობაქიძე ან ქუჩაში უმოწყალოდ დახვრეტილი სხვა ადამიანები უნდა მოვიაზროთ, არამედ **საუბარი უნდა იყოს სისტემურ დანაშაულზე და „ნაცმოძრაობის“, როგორც დანაშაულებრივი მმართველი პარტიის, გასამართლებაზე!**

ეს რომ არ მოხდება, უკრაინაში მიმდინარე პროცესებიდანაც აშკარად ჩანს — სააკაშვილის ადრინდელი და დღევანდელი მფარველი (პრინციპში ერთი და იგივეა) და მისი ძალადობრივი რეჟიმის თავის დროზე „გამპრავებელი“, ამის უფლებას ნამდვილად არ მოგვცემს ენერგიულად!

მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი „ძლევამოსილი“ დიქტატორიდან სათამაშო თოჯინად ჩამოქვეითდა, ის მაინც დავალებებს ასრულებს და ასრულებს ზედმიწევნით გამომწვევად.

აქედან გამომდინარე, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რა გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანს მის მიმართ საქართველოს მართლმსაჯულება და შეიწყალებს თუ არა მას პრეზიდენტი მარგველაშვილი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე — ფაქტი ერთია, ის დღესაც რჩება „მაოხრებელ გზირად“ საქართველოსთვის და თავისი არაორდინალური გამოხტომებით ზიანის მოტანა კიდევ შეუძლია!

ჩვენ კი ვალდებულნი ვართ, ილუზიის ტყვეობიდან დროულად გამოვიდეთ!!!

ზაურ ნაჭყებია

ფინანსთა სამინისტრო ბიზნესისთვის დღგ-ს ზედმეტობის დაბრუნების გამარტივებული სისტემის დანერგვას იწყებს

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ბიზნესისთვის იწყებს დღგ-ს ზედმეტობის დაბრუნების გამარტივებული სისტემის დანერგვას. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ გუშინ ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ფინანსთა სამინისტროში გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა.

გამომდინარე იქიდან, რომ რეფორმისთვის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის სისტემის შექმნას ჭირდება, დაახლოებით, ორი კვარტალი, რომელსაც შემდგომ მოჰყვება იმპლემენტაციის პერიოდი, ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, ამ აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნის პარალელურად მომდევნო კვირის ორშაბათიდან იწყება დღგ-ს ზედმეტობის გამარტივებულ და ლიბერალურ რეჟიმში დაბრუნების პროცედურა. ამ გადაწყვეტილების მთავარი მიზანია, ბიზნესმა მყისიერად იგრძნოს აღნიშნული რეფორმით გამოწვეული უპირატესობა და დადებითი შედეგები.

ის სექტორები და ბიზნეს-ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ დღგ-ს ზედმეტობის მქონე კომპანიების აბსოლუტურ უმრავლესობას, აკმაყოფილებენ ყველა ძირითად პარამეტრს და მათ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სთავაზობს დღგ-ს ზედმეტობის დაბრუნებას ნ-დღიან ვადაში.

ხოლო იმ კომპანიებს, რომლებსაც ობიექტური მიზეზის გამო, სჭირდებათ გარკვეული დრო ყველა კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად, ფინანსთა სამინისტრო სთავაზობს აღნიშნული კრიტერიუმების დაკმაყოფილებას 14-დღიან პერიოდში და დღგ-ს ზედმეტობის დაბრუნებას იმ ოდენობით, რაც მათ ეკუთვნით. დამატებული ღირებულების გადასახადის ზედმეტობის დაბრუნების ავტომატური სისტემის სრულფასოვანი ამოქმედების შემდეგ, ბიზნესს არ ექნება შეხება ბიუროკრატიასთან. სპეციალურად შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფა და ინფრასტრუქტურა, ავტომატურ რეჟიმში დააბრუნებს დღგ-ს ზედმეტობას. უკვე მზადდება ცვლილებები შესაბამის კანონქვემდებარე აქტებში, რომლებიც უახლოეს პერიოდში ამოქმედდება.

ფინანსთა სამინისტრო კიდევ ერთხელ ადასტურებს აღნიშნული რეფორმის დაწყებას და მოუწოდებს ბიზნესს მომავალი კვირიდან მაქსიმალურად ჩაერთონ აღნიშნული რეფორმის განხორციელების პროცესში.

ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №267

მე შეგნებული მაქვს ის ურთულესი და ამავე დროს საპატიო მოვალეობა, რომელიც დღეს, ღვთის ამ წმინდა ტაძრის თაღებქვეშ, დამაკისრა მაღალმა ღმერთმა. მუხლს ვიხრი ამ პატივისათვის მისი ძლიერების წინაშე და თაყვანს ვცემ მარადიულ ნათლითმოსილ ხსენებას მისას.

თავს ვიხრი საქართველოს ეკლესიისა და მისი მრევლის – ქართველი ხალხის წინაშე, რომელსაც სასოებით უნდა ემსახუროს ჩემი ძალი და გონება, იმ სარწმუნოებით, რომელი სარწმუნოების დაცვისა და შენარჩუნებისათვის ზღვა სისხლი გაიღო რიცხვით მცირე ჩვენმა ხალხმა, დაწყებული მცხეთაში მაცხოვრის კვართის მოტანიდან.

საქართველოს წარსულის, აწმყოსა და მომავლის მარად განუყოფელ სახელებად მოიაზრება წმიდა ნინო და მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერი. ნინოს, მოციქულთა სწორის ქადაგების ადგილიდან იწყება ჩვენი სამშობლოს ქრისტიანული ყოფის ისტორიის უწყვეტი ჯაჭვი, რის ტრადიციებსაც ასე ერთგულად იცავენ ამ სავანეში.

„არსად ისეთი მადლი არ მიმიღია, როგორც აქ, სამთავროში“, – უბრძანებია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს.

ცხადია, სამთავროს დედათა მონასტრის დღევანდელი დღე წარსულიდან მოდის, მაგრამ ისიც ცხადია, ემპირიულ სამყაროში რა სიძნელეებს ითავსებს ასკეტური ცხოვრების წესი და ამის პარალელურად დაუღალავი სამეცნიერო-საგანმანათლებლო მოღვაწეობა. მონასტრის წინამძღვრის იღუმენია ქეთევანის (კოპალიანი) ძალისხმევით ეს ადგილი დღეს სასულიერო – საგანმანათლებლო ფუნქციასაც იძენს.

გამოიცემა წიგნები, პერიოდიკა, გამართულია სამუზეუმო სივრცე, ამზადებენ სიუჟეტებს და ფილმებს, მუშავდება საარქივო მასალები... ყოველივე ეს დიდი ხანია საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა.

მისი უწმინდესობის აღსაყდრებიდან 40 და დაბადებიდან 85 წლისთავს ეძღვნება ჟურნალ „სამთავროს მაყვლოვანის“ ახალი (4(29) ნომერი. დასტამბულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, სტამბაში „შარავანდი“ (ხელმძღვანელი თამაზ შარიქაძე). ნომრის შინაარსი და ფორმა თითქოს ერთ მთლიანობაშია მოქცეული. პროფესიული, გემოვნებიანი დიზაინი და საინტერესო ტექსტუალური მასალა გამოცემას განსაკუთრებულად მიმზიდველს ხდის.

უნიკალურ იკონოგრაფიას და პატრიარქის ღირსახსოვარ სიტყვებს ენაცვლება გულწრფელი მილოცვები, მოგონებები, ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობილი ეპოქის ანალიზი. ნომრის მასალების ავტორები არიან გამორჩეული სასულიერო და საერო პირები.

ქვემოთ გთავაზობთ ამონარიდებს მონასტრის წინამძღვრის იღუმენია ქეთევანის და მონასტრის სულიერი მოძღვარის არქიმანდრიტ ლაზარეს (გაგნიძე) მოგონებებიდან.

„შეუძლებელი კაცთაგან...“

შეხვედრა უწმიდესთან

იდგა 1957 წლის სექტემბერი. ზაფხულის არდადეგებიდან დაბრუნებულებმა გადავწყვიტეთ, პირველივე კვირადღეს მცხეთის „ისტორიული ძეგლები“ მოგვენახულებინა. თბილისი-ბორჯომის მატარებელს ზაჰესამდე გავყევით და იქიდან ერთ სულად შეკრული ოცამდე მეორეკურსელი მომავალი გერმანისტები მხიარული სიმღერით, ფეხით ავუყევით ჯვრის მონასტრის აღმართიან ბილიკს. დაახლოებით ორ საათში მივადექით მძიმე ჟამისაგან იავარქმნილ, ისტორიულ ძეგლად ქცეულ ტაძარს. მდუმარედ დავათვალიერეთ, აღმშენებლებს მადლობა შევსწირეთ, გარეთ გამოსულებმა მცხეთას ამაყად გადავხედეთ და ტრაპეზისათვის მინდორზე ადგილი შევარჩიეთ. ჩვენი ურწმუნოების გამო არც ერთს თავი უხერხულად არ გვიგრძნია, რადგან ყველა უღმერთობის ხანაში ვიყავით დაბადებული.

ტრაპეზის შემდეგ მტკვრისა და არაგვის შესართავისაკენ ფეხითვე დავუყევით დაღმართს, ტივით არაგვი გადავცურეთ და სვეტიცხოვლის დიდებულ ტაძარს მივადექით. ჩანდა, წირვა კარგა ხნის დამთავრებული იყო, ეზოში ჩქამიც არ ისმოდა. კარიბჭიდან კიბეები დინჯად ჩავიარეთ. ტაძრის შესასვლელთან შავოსანი ბერი შევნიშნეთ, ვიგრძენით, რომ ჩვენგან განრიდებას აპირებდა, ჩვენც სიმშვიდე არ დავურღვიეთ, მორიდებით, დინჯად გვერდზე ჩავუარეთ და ტაძარში შევედით. ეკლესიური ცხოვრების არა გაგვეგებოდა რა და სულგანაბული ვუსმენდით ჩვენს უფროს თანაკურსელს ვახტანგ პაიკიძეს, რომელიც პროფესიულ დონეზე გვიწევდა გიდობას. ამის მიუხედავად, ყოველ ჩვენგანს მოგვეძალა უკმარისობის გრძნობა. გარეთ შავოსანი ბერი გვეგულებოდა და გული მისკენ მიგვიწევდა. განდეგილი ბერები, როგორც მხატვრული ლიტერატურის პერსონაჟები, ჩვენთვის ცნობილი იყვნენ, მაგრამ ცოცხალი ბერი არავის გვენახა. გულისფანცქალით ველოდით მასთან შეხვედრას, მაგრამ ვცდილობდით, ჩვენი ცნობისმოყვარეობით არ დაგვეგრკოლებინა საერო ცხოვრებას განრიდებული მხცოვანი ბერი. გარეთ გამოსულებმა, როგორც იქნა, გავბედეთ ახლოს მივსულიყავით ბერთან და სასიამოვნოდ გაგვაოცა მისმა ხილვამ: ჩვენ წინაშე იდგა არა მოხუცი ბერი, არამედ ოციოდე წლის უმშვენიერესი გარეგნობის ჩვენი თანატოლი შავოსანი განდეგილი, მსუბუქი, ჰაეროვანი, უტკბილესი ხმით მეტყველი ხორცშესხმული ანგელოზი. განცდილით გახარებულები ვიცინოდით, ვტიროდით, გვჯეროდა, არც გვჯეროდა, მაგრამ რეალობას ვერსად გაექცევი, – იავარქმნილი დედაეკლესიის უმთავრეს ტაძარში, ჩვენ წინაშე ამაყად იდგა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის რეალობა, ჩვენი თანატოლი, ახლადაღკვეცილი ბერ-მონაზონი, რომელსაც უფალმა განუჩინა უახლოეს მომავალში ჩვენი ეკლესიის გაახალგაზრდავებისა და აღშენების მისია.



„ჯვარისმტვირთველო, ვედრება შენი შეწირულ არს მაღლისა მიერ“...

აღტაცებულები შემოვეხვიეთ საქართველოს აწმყოსა და მომავალს საკუთარი ნებით თავშეწირულ ბერს. მალევე გავარკვიეთ, რომ აღკვეცისას მას დაანათლეს დიდი წინასწარმეტყველის ილიას სახელი. დიდხანს გაგრძელდა ჩვენი საუბარი. ჩვენი მომავალი პატრიარქის კეთილგანწყობილმა, დინჯმა მეტყველებამ ანდამატივით მიგვიზიდა... გადიოდა საათები და აღარც კი ვფიქრობდით მისგან განშორებას. სვეტიცხოველში წუთი წუთზე ელოდნენ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს ალექსი I-ს, რომელიც სტუმრად იმყოფებოდა საქართველოში. ჩვენც თბილად დავემშვიდობეთ ახლადგაცნობილ ბერმონაზონ ილიას და მისი დიდი სულიერებით შთაგონებულებმა გეზი ავიღეთ მცხეთის რკინიგზის სადგურისაკენ.

შინ დაბრუნებული დამაფიქრა ჩემი თანატოლი ბერის ვაჟკაცურმა გადაწყვეტილებამ, ორივე კომკავშირულ ასაკში ვიყავით. მან აირჩია კომუნისტურ მუდმივმოქმედი ფეთქებადი ნაღმებით მოფენილი გზის საწინააღმდეგოდ სიარული, მე კი იოლად სავალი მქონდა არჩეული და ერთგულადაც გავყევი, მაგრამ კეთილი თესლი, რომელიც უწმინდესმა იმ დღეს ჩათესა ჩემში, ნელ-ნელა ღვივდებოდა და აღმოცენდა მხოლოდ ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ. დღეს, 80 წელს გადაგიჯებული, გამოგიტყდებით, რომ იმ დღის შემდეგ არასოდეს განმშორებია...

არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)

„ვმადლობ ღმერთსა ჩემსა მარადის თქვენთვის...“

არც კი მგონია, თუ ამდენი დრო გავიდა; ჩვენი უწმინდესი უკვე 85 წლისა გახდა; 40 წელია, ღირსეულად უპყრია საჭე მრავალსაუკუნოვანი ქართული ეკლესიისა, ვითარცა მოსე, მიგვიძღვის განსაცდელითა და ათასგვარი ხიფათით სავსე ცხოვრების ზღვაში და „ჭკენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერევიან მას“.

ჩვენო უწმიდესო, რა შემიძლია გისურვოთ, ყოველმხრივ სრულსა და მადლიანს, – მხოლოდ ჯანის სიმრთელე, ფიზიკური ძალა და გამძლეობა, დიდხანს სიცოცხლე მთელი ქართველი ერის სასიკეთოდ და, ვითარცა პავლე, შემოგღაღადებთ: „ვმადლობ ღმერთსა ჩემსა მარადის თქვენთვის და მიხარის თქვენთვის!“

ღვთის და მამულის სიყვარული, სამშობლო ქვეყნის ტრადიციების ერთგულება და მისი მომავლისათვის ზრუნვა, ყველა სხვა სათნოების მსგავსად, საოცარი ჰარმონიითაა შერწყმული ჩვენი პატრიარქის ბუნებაში. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა უწმიდესის საოცრად მოკრძალებული დამოკიდებულება ზოგადად წინაპრების, უფროსი თაობისა და, კერძოდ, საკუთარი მშობლების მიმართ. უწმიდესი მშობლებს სიცოცხლეშიც და გარდაცვალების შემდეგაც დიდ პატივს მიაგებდა და მიაგებს დღესაც. მეც ერთ-ერთი მოწმე ვარ ამისა: ყოველწლიურად, აღდგომის მეორე დღეს, მცხეთაში, მამის საფლავზე მოგზრძანდება ჩვენი პატრიარქი, სასულიერო პირებთან და ნათესავ-ახლობლებთან ერთად სამთავროს დედებიც ყოველთვის თან ვახლავართ. უწმიდესი პანაშვიდის გადახდის შემდეგ ყველა იქ მყოფს სუფრასთან გვიწვევს და გულუხვად გვიმასპინძლდება, წამოსვლისას კი სკვნილს ან რამე საჩუქარს ტოვებს მამის საფლავზე, რათა ვინმემ აიღოს პატრიარქის მშობლების სახელზე და მათი სულების მოსახსენებლად.

ბევრჯერ ყაზბეგშიც ვყოფილვართ უწმიდესთან ერთად დედის საფლავზე, იქაც იკრიბება დიდი თუ პატარა, გარდაცვლილთა სახელზე ბავშვებს კანფეტებს, ტკბილეულს, ნამცხვრებს ურიგებს, ნაკურთხს საზრდელს კი მოწყალებად გასცემენ დედები.

დედ-მამის სურათი სალოცავ კუთხესთან აქვს დაბრძანებული კათოლიკოს-პატრიარქს. „გარდაცვლილთა სულებთან ორმხრივი კავშირი არსებობს, როცა თქვენ მათ იხსენიებთ, ისინი თქვენ გიხსენიებენ“, – ხშირად ბრძანებს უწმიდესი და არასოდეს წყვეტს სულიერ კავშირს დიდ წინაპრებთან.

იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი)

იღუმენია ქეთევანი

არისტოკრატია ჩვენში და სხვაგან

ნინო ჩოლოყაშვილი

ნინო ჩოლოყაშვილი

არისტოკრატია, როგორც არაერთმნიშვნელოვანი ცნება და რთული მეტაფიზიკური მოვლენა, შესაბამისად, არაერთმნიშვნელოვან განმარტებას გულისხმობს...

გასული საუკუნის დასაწყისში ფასეულობათა სტიქიური გადაფასების შემდეგ, როცა საზოგადოების ეს ფენა მხოლოდ სოციალური კუთხით განიხილებოდა, ჩამოყალიბდა აზრი, რომ ისტორიული არისტოკრატია აპრიორულად სულაც არ ნიშნავს „საუკეთესოს“ ან „კეთილშობილს“.

საყოველთაო ძალადობის და უარყოფის ფონზე სხვა დეფინიციებიც გაჩნდა: არისტოკრატია – სოციალური გაგებით და არისტოკრატია – სულიერი გაგებით.

თუ რამდენად გულისხმობს არისტოკრატიის სოციალური სტატუსი, ანუ შთამომავლობითი ფაქტორი ადამიანთა პიროვნულ თვისებებს, თუნდაც თვისობრიობათა მაღალ ხარისხს, ამის შესახებ სხვადასხვა ტიპის ლიტერატურასა თუ საარქივო დოკუმენტებში სრულიად სხვადასხვაგვარადაა მინიშნებული, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ **შეუძლებელია კონკრეტული ცნებითი ნიშნის, თუნდაც ისტორიულად კრისტალიზირებულის უპირობო განზოგადება.**

არისტოკრატიის ნ. ბერდიაევისეული განმარტება, რომელიც რუსული ფილოსოფიისა და ყოფის წიაღში იშვა, არისტოკრატიზმს პერსონალიზმისგან რადიკალურად მიჯნავს, როგორც ინდივიდუალურ-პიროვნულს შთამომავლობით – კასტურისგან. იქვე მოცემულია პარადიგმა, რომ არისტოკრატიას ძალიან უძნელდება ახლობლური დამოკიდებულება სხვა წრის ადამიანებთან, რაც ვფიქრობთ, არსებითად განსხვავდება ქართული ისტორიული სინამდვილისგან, თუნდაც, ე.წ. ძიძიშვილობის ინსტიტუტის მაგალითით: როცა მაღალი წარმომავლობის ოჯახი საკუთარ პირმშოს სოციალურად დაბალი წრის ოჯახს ანდობდა აღსაზრდელად და ემოციურად ვითარდებოდა მათი ახლობლობის, დანათესავების, ერთგულების გამოხატულების ფორმები...

და მაინც, რეალურად არსებობს და ალბათ გარდაუვალიცაა არისტოკრატიისა და პლებეური მასის დაპირისპირება. არისტოკრატია ბრბოსგან განსხვავებით, ნებისმიერი გზით და საშუალებით არ მიემართება მიზნისკენ, არ მიილტვის მაღლა. გარეგნულად მაინც ინარჩუნებს ეტიკეტს. გნებავთ პოზას, რომ ამ ტიპის ბრძოლა არაარისტოკრატიულია, რადგან ისედაც გარკვეულ სიმაღლეზე გრძნობს თავს მაშინაც კი, როცა სოციალური ნიადაგი სრულიად გამოცლილი აქვს. მისი კასტური ჩაკეტილობა ბრბოსაგან თავდაცვის საშუალებაა, იზოლირებაა მათგან, ვინც იოლად ხელჰყოფს სხვათა ღირსებას...

* * *

გუსტავ ფლოგერის პროტოტიპი („ბოვარი მე ვარ...“) ნაზად იღებს ხელში „ლამაზად დაკაზმულ სატინისყდიან წიგნებს“ და უმეტესად წარჩინებულთა გვარებს აკვირდება... „ცახცახით შეუგერავდა სულს გრავიურაზე დაფარებულ თხელ ქაღალდს. ოდნავ რომ წამოიშლებოდა და მერე ნაზად ისევ გრავიურას დაეცემოდა... აივნის მოაჯირთან. მოკლე მანტოში გახვეული ყმა გულში იხუტებდა თეთრად ჩაცმულ ქალწულს... ან კიდევ, ეს იყო ქერაკულულებიანი, ინგლისელი უცნობი ლედი, უალის მრგვალი ქუდით დაჩრდილული, დიდრონი, ნათელი თვალებით რომ შემოგვცქეროდა...

ემა ბოვარი. ერთ მშვენიერ დღეს უამრავ ვერცხლის ფულს ურიგებს მათხოვრებს, მისგან ამგვარი წყალობა ფსევდოარისტოკრატიულ, სავალდებულო ჟესტს უფრო ემსგავსება, ვიდრე დაბალი წრისადმი თანაგრძნობას, რასაც მწერალი თავისებურად განმარტავს... „თუმცა შემბრალე არ იყო, როგორც გლეხობიდან წარმომდგართა უმეტესობა, რომელსაც გულში რაღაც უძევს მამა-პაპათა დაკოჟრილი ხელების სისასტიკისა“...

ისტორიულად, იგივე ფრანგულ სინამდვილეში, უამრავი მონა გახლდათ განთავისუფლებული, მაგრამ ბუნებრივია, განთავისუფლებულნი არ იყვნენ მიღებულნი, როგორც თანასწორნი.

არისტოკრატიის ჩამოყალიბების პროცესები ცხადჰყოფენ, რომ დისტანცია მუდამ არსებობს, ანუ უფრო მაღალი კულტურული დონე, უფრო დახვეწილი მანერები, დიდსულოვნება, კეთილშობილური აღზრდა, რაც ე.წ. სისხლის ფატალურობით (ა. ბლოკი) არის საფუძველშივე მოცემული.

* * *

გრიგოლ როგაძიძის რომანში „გველის პერანგი“ გაინგლისელებული ქართველი არისტოკრატი არჩიბალდ მეკეში (მაყაშვილი) ევროპიდან საქართველოსკენ მოემგზავრება. ის არ კარგავს, პირიქით, სამუდამოდ იტოვებს, ითავსებს ევროპულ ღირებულებებს. სისხლის ინფორმაციას ის სამშობლოში მოჰყავს და საკუთარ არისტოკრატიულ, პატრიარქალურ წარსულში დაბრუნება სიამაყის, გამორჩეულობის განცდას უღვიძებს.

ამბობს: „ჩემში ყველაზე ხმამაღლა სისხლი მეტყველებს... სისხლში დიდი მისტერიაა... სისხლი ამოძრავებს მთელი მსოფლიოს მაჯისცემას, სისხლი აკავშირებს, სისხლი სთიშავს...“

გზა, რომელსაც არჩიბალდ მეკეში ინგლისიდან საქართველოში (დასავლეთიდან აღმოსავლეთში) მოჰყავს, მრავალი სიმბოლოთია დატვირთული და აღიქმება, როგორც დინამიური მოდელი, სადაც ერთმანეთს ხვდებიან აპოლონური და დიონისური ძალები. „უძღები შვილის დაბრუნების ალეგორიით არჩიბალდ მეკეში საკუთარ სისხლს მამისეული (წინაპრების) მოდგმის სტატუსს უბრუნებს, რადგან „სისხლი ყოველ საბუთზე უკეთესია...“ (გრ. რობაქიძე)

მისი, ჯუბუ, ქოკი დადიანები

ძველი ქართული არისტოკრატიის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი ბაბო დადიანი, თავისივე ცხოვრების წესით განმარტავდა, რომ ამქვეყნიური არსებობისთვის მინიჭებულ დროს დამაჯერებლობას წარსულისადმი დამოკიდებულება ანიჭებს.

იგი სიონის ტაძარში მუხლმოდრეკით იდგა მაშინაც, როცა ეპოქათა მიჯნაზე ომებისა და რევოლუციების ტლანქი ზემოქმედებით წარსულისადმი, ანუ დროში გამოცდილი ფასეულობებისადმი უჩვეულო გულგრილობას გამოხატავდნენ. ანალოგიური მკაცრი ხანა ევროპულ ცნობიერებაში „კრიზისის“ სახელითაა შეფასებული. უპირველესად, „ევროპული ელიტის გაჟლეტის“ გამო (პ. ვალერი)... მაგრამ საყოველთაო სასოწარკვეთილების ჟამს ევროპის უეცარი გამოფხიზლება დაიწყო. წარსულის ტერიტორიებიდან გამოიხმეს თავიანთი წმინდანები, ეროვნული გმირები, ნაციონალური პოეტები თუ წინასწარმეტყველები... განსაკუთრებული დაინტერესება დაიწყო გენოტიპებით და გენეტიზმით, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის არქეოლოგიურ შესწავლას გულისხმობდა.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის არისტოკრატია, როგორც სოციალური სტრუქტურა და როგორც იურიდიულად გაფორმებული კლასი, ძველებურად აღარ არსებობდა. „კეთილშობილის“ ეკვივალენტი არასოდეს დაუკარგავს. დროთა განმავლობაში კი მათი პრივილეგიების რეაბილიტაციაც დაიწყო. ევროპისგან განსხვავებით, საბჭოთა რეალობა მცდარი ანტიისტორიული დასკვნებით წარსულს, უპირველესად კი არისტოკრატიის ანტიკურ და შუასაუკუნეობრივ გაგებას (ღირსეულთა მმართველობა) დაუპირისპირდა.

გარდა შთამომავლობითი ტიტულებისა და ქონებისა, არისტოკრატია ქცევისა და მორალის გარკვეულ ნორმებს და შესაბამისად, ავტორიტეტს ფლობდა. „კეთილშობილთან“ ერთად, სიტყვები „მხედარი“, „მხედრული ღირსება“, „სიამაყე“, „მხედრული აღზრდა“, „დარბაისელი“ და სხვ. ამ წრიდან გამოსულ ადამიანებთან ასოცირდებოდა. განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა სიტყვამ – „მხედარი“, გაჩნდა სიტყვათა შეთანხმება „თავისუფლება არისტოკრატიულია“.

წარსულის სხვა ღირებულებებთან ერთად, ამ წრის მოსპობას და ასიმილირებას (რაც ყველა შემთხვევაში იდენტურია) საბჭოთა ოფიციოზის არა ერთი მექანიზმი ახორციელებდა. იქმნებოდა ახალი ტერმინოლოგია ისევე, როგორც პოსტრევოლუციური ადამიანის ახალი, წარსულის უარმყოფელი „ახალი იდეებით“ და ქცევისა და მორალის განსხვავებული ნორმებით.

ვინაიდან არისტოკრატია, როგორც კლასი, ერთგვარი ჩაკეტილი წრეა, გასაბჭოების შემდგომ ის ვეღარ ახერხებდა დაცულად, თავდაპირველი სიმყარით ეგრძნო და ოდინდელი ღირსებით შეენახა თავი.

ინტეგრაციის ახალ პირობებთან შეგუების ფონზე დაიწყო მათი ინტელიგენციაში გადასვლის პროცესი, დიდი ნაწილი ინტელექტუალურ ელიტაში გადავიდა მაშინ, როცა მათ წინააღმდეგ საბჭოთა ოფიციოზის ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა.

ვინაიდან ჭეშმარიტი ინტელიგენტიზმი არისტოკრატიზმის მსგავსად სოციალური ნიშნიდან პიროვნულში გადადის, ამ წრის ადამიანთა რეაქცია არსებულისადმი პროტესტის შინაგანი თუ დეკლარირებული ფორმით გამოიხატა. პარალელურად ხელისუფლებამ დაიწყო მათი საზოგადოებისგან იზოლირების მცდელობა: რეპრესიებით, დაპატიმრებებით, სისხლისღვრით, ძალადობის უკიდურესი საშუალებებით.

ხორხე ლუის ბორხესი ერთგან განმარტავს: აღორძინების ხანაში კაცობრიობას მიაჩნდა, რომ მოწიფულობის ასაკს მიაღწია. მე-8 საუკუნეში კი იგი სიბერის შეგრძნებამ შეაშინა. ეპოქაში, რომელიც ჯერ კიდევ აღორძინების შუქით იყო განათებული, ადამიანებმა იგრძნეს, რომ დროსა და სივრცეში არიან დაკარგულნი...

უსასრულო შედეგების უსასრულო მიზეზთა მხოლოდ ანალიზი ადამიანებს მარტოობისგან ვერ იხსნიდა.

„ჩემი სამოქმედო ასპარეზი დროა“, – თითქოს საკუთარი დროების სახელით ამბობს გოეთე და მე-19 საუკუნის როგორც თვისობრივად ახალი ეპოქის სულისკვეთებას გამოხატავს. ეს იმასაც ნიშნავდა, რომ გასულმა საუკუნეებმა ფასეულობათა შკალა დაგვანახა და არჩევანი, როგორც ასეთი, უკვე მოცემული იყო.

მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის პროცესების შეძლებისდაგვარად ობიექტური კვლევა პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში დაიწყო. საქართველოს ისტორიისთვის ეს არის ერთგვარად გარდამავალი ხანა (არისტოკრატიის და ჭეშმარიტი ინტელიგენციის დევნა, პოლიტიკური ემიგრაცია, რეპრესიები...) და ღირებულებათა არაერთგზის გადაფასების და სახელდების დრო.

წინამდებარე ალბომში ქალბატონ ბაბო დადიანის იკონოთეკაში არსებული საუკუნის მიჯნაზე მცხოვრები რჩეული პიროვნებების პორტრეტებია წარმოდგენილი და თუკი ადამიანის სახე და თვალები მართლაც სარკეა მისივე სულისა, მცირე განმარტებებთან ერთად, მათ სულიერ ბიოგრაფიასაც ამოვიკითხავთ და იმ ეპოქის სულსაც, რომელიც ამ საზოგადოებამ შექმნა.

რა კავშირშია ერთმანეთთან სულიერებისა და მატერიალური არსებობის კანონები, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცვლილებების დროს, როცა მუდმივი შეუსაბამობაა სიტყვებსა და მოვლენებს შორის. კონკრეტული სამყაროს იერი ადამიანებზე ისე როგორც საგნებზე, სხვადასხვა კვალს ტოვებს. გაცრეცილ ფოტოზე შეჩერებული წამი, სწორედ იმ მარადიულობას გამოხატავს, რომელიც იმ პიროვნებათა სულიერებით არის გაჟღენთილი.

ნინო ხოფერია
(გაგრძელება იქნება)

ვახტანგ სალარიძე და გრიშა ქსოვრელი

ძნელია, თითქმის შეუძლებელიც, მსახიობმა თავისი კოლეგა აღაფრთოვანოს. გამოჩენილმა ქართველმა მსახიობმა, საქართველოს სახალხო არტისტმა ვახტანგ სალარიძემ ესეც შეძლო, მისი თვითმყოფადი ნიჭის ერთ-ერთი თაყვანისმცემელი გახლდათ გრიშა ქსოვრელი – ქართული ესტრადის მსახიობი, შესანიშნავი მუსიკოსი და მომღერალი, ბრწყინვალე მედუდუკე, თბილისელ მოქეიფეთა სული და გული.

ვახტანგ სალარიძეს და გრიშა ქსოვრელს ნამდვილი, მამაკაცური მეგორობა აკავშირებდათ; მათ მშობლიური ქალაქის უსაზღვრო სიყვარული აახლოებდათ და მართლაც, თხემით ტერფამდე ნამდვილი თბილისელები ჩვენს დედაქალაქს ლაზათსა და კოლორიტს მატებდნენ. ამ ორმა დიდმა პროფესიონალმა შესანიშნავად იცოდა ქართული სუფრის მადლი და მნიშვნელობა, მოლხენა იცოდნენ – მუსიკით, სიმღერითა და იუმორით სავსე მოლხენა.

უნდა გენახათ, რა სიყვარულითა და პატივისცემით ექცეოდა გრიშა ქსოვრელი ვახტანგ სალარიძეს, რომელსაც მუსიკალური კომედიის თეატრის უბადლო მსახიობად თვლიდა, „ვახტანგ სალარიძე დიდი მსახიობი და ძველი თბილისის ტრფიალია, განუმეორებელი თბილისური შარმი აქვს, მისნაირები აღარ იქნებიან...“, – ეს აწ გარდაცვლილი გრიშა ქსოვრელის სიტყვებია.

ბედნიერად ვთვლი თავს, რომ არაერთხელ ვყოფილვარ მათი შეხვედრის მოწმე. ისინი ძველ თბილისს იგონებდნენ, გარდასულ დღეებსა და ამქვეყნიდან წასულებზე საუბრობდნენ...

ძველ თბილისს განუმეორებელი კოლორიტი ჰქონდა, ჩვენში დღესაც არსებობს ბევრისმომცველი, თითქმის პოეტური სიტყვა – ქალაქელი, მისი მნიშვნელობის გადმოცემა შეუძლებელია – ეს თბილისელი კაცის სინდის-ნამუსი, ადამიანობა, ვაუკაცობა და კიდევ, ბევრი რამ არის...

„ქალაქელობა – ეს ადამიანის შინაგანი სამყარო, ცხოვრების წესი და ქცევის მანერაა – სახლში, ქუჩაში, სუფრასთან, ეს დედის რძესთან ერთად შეთვისებული სიყვარულია, ადამიანის სიყვარული! ქალაქელობა ჩვენი ძმობა, მეგობრობა, პატივისცემა და საუკეთესო ადამიანური თვისებებისადმი რწმენაა, ჩვენი უფლება და მოვალეობაა...“, – ვახტანგ სალარიძის ამ სადღეგრძელოს ხშირად იმეორებდა გრიშა ქსოვრელი, თან დააყოლებდა: – გინესის წიგნის ქართული ვერსია რომ არსებობდეს, ვახტანგ სალარიძეს აუცილებლად შეიყვანდნენ, თან არაერთი მუხლითო.

ვახტანგ სალარიძე (სპექტაკლიდან „დალი“)

მარჯვნივ გრიგოლ ქსოვრელი

„სიონისუბნელი“ – ასე ეძახდა გრიშა ქსოვრელი ვახტანგ სალარიძეს, თავის მხრივ ბატონი ვახტანგიც ბევრ საინტერესოს ჰყვებოდა სახელგანთქმულ მედუდუკეზე. იხსენებდა, რომ 40-იან წლებში თვით ლეგენდარულმა ჯანო ბაგრატიონმა მიიწვია გრიშა ქსოვრელი თავის ანსამბლში, შემდეგ კი ამ უკანასკნელმა შექმნა მედუდუკეთა ანსამბლი „სოინარი“, რომელმაც დაარსების პირველი დღეებიდანვე გაითქვა სახელი.

მახსოვს, ერთხელ ბატონ ვახტანგს ვკითხე: – გრიშა ქსოვრელმა ესტრადის ასეთმა გამოჩენილმა და პოპულარულმა ოსტატმა, სცენა როგორ დატოვა-მეთქი „დუდუკს ახლა მარტო ქართული სუფრა აცოცხლებს, გრიშას კი დუდუკის გარეშე არსებობა არ შეუძლია!“ – ასე მიპასუხა ქსოვრელის ნიჭის დიდმა თაყვანისმცემელმა.

არც ისე დიდი ხნის წინათ, ვახტანგ სალარიძის თხოვნით, რომელიც თავის დაბადების დღეს აღნიშნავდა, ძლივს მოვძებნე გრიშა ქსოვრელი. როგორც კი ბატონი ვახტანგის სახელი გაიგონა, მიუხედავად მოუცლელობისა, ყველა საქმე მაშინვე გადადო და თბილისის ძველ უბანში მდებარე რესტორან „ქალაქურს“ მივაშურეთ. საზეიმო მაგიდას უსხდნენ 85 წლის ვახტანგ სალარიძისა და მისი ერთადერთი ვაჟის დავითის მეგობრები და კოლეგები, როგორც იტყვიან – მამები და შვილები. უფროსმა თაობამ უმცროსებს ადროვა, ლაპარაკით გული მოეჯერებინათ. შემდეგ კი უფროსთაგან რომელიღაცამ მორიდებით წამოიძახა: „მოდით, ვიქეიფოთ, მეგობრებო!“ და საოცრება დაიწყო... ვახტანგ სალარიძის შვიდათეულ წელს გადაცილებულმა მეგობრებმა თვით ბატონ ვახტანგსა და გრიშა ქსოვრელთან ერთად, დაუკრეს, იმღერეს, ისე მოილხინეს, რომ რესტორნის მრავლისმომსწრე პერსონალმაც კი დაივიწყა თავისი საქმე და მოჯადოებული შესცქეროდა ამ მართლაცდა საოცარ წარმოდგენას, რომელიც სამწუხაროდ, აღარ განმეორდება...

ეს ორი ხელოვანის, ორი ნამდვილი თბილისელის უკანასკნელი შეხვედრა იყო. ...ახლაც მესიზმრება ქართული სუფრა, განთიადისას, ტკბილად ჩათვლემილს, თითქოსდა შორიდან ჩამესმის გრიშა ქსოვრელის დუდუკის კვნესა და ვახტანგ სალარიძის ხავერდოვანი ხმა, ჩემს წინ ჯადოსნური სამყარო იშლება – ზღაპარივით ვხედავ ძველ თბილისს და მის უკვდავ პერსონაჟებს – ვახტანგ სალარიძესა და გრიშა ქსოვრელს...

ლევან დოლიძე

გვირგვინი თუ... დედოფლის თავსატეხი?!

ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ მეორემ BBC-ის დოკუმენტურ ფილმში მონარქის გვირგვინის სიმძიმეზე ისაუბრა. ბრიტანეთის საქმეფოს გვირგვინს დედოფალი განსაკუთრებულ დღეებში ატარებს. მისი წონა 1,3 კგ-ა. მასზე 2,8 ათასი ალმასი, ასობით მარგალიტი, ზურმუხტი, ძოწი და ლალია.

„შენ არ შეგიძლია თავი დახარო და ქვევით დაიხედო. ტექსტის წაკითხვის დროსაც კი, ფურცელი უნდა აწიო. თუ თავს დახრი, კისერს მოიტეხ, გვირგვინი კი ძირს დავარდება“, – აცხადებს დედოფალი. მისივე თქმით, მიუხედავად გვირგვინის ტარების უარყოფითი მხარეებისა, ეს მაინც აუცილებელია.

საახალწლო ტრადიციები

ახალი **წლის ტრადიცია ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში სხავადსხვანაირია. ქართული ტრადიციის მიხედვით, თოვლის ბაბუა თეთრ ჩოხაში გამოწყობილი წვერ-ულვაშიანი მომღიმარი კეთილი მოხუცია, რომელსაც ხურჯინი აქვს გადაკიდებული და ბავშვებს საჩუქრებს ჩუქნის. საქართველოში ახალ წელი თოვლის ბაბუასთან ერთად მეკვლესთანაც ასოცირდება. ტრადიციის მიხედვით, მეკვლეებს დიდი მოწიწებით ირჩევენ. იგი პირველია, ვინც ახალი წლის ღამეს შედის ოჯახში და მასპინძელს ხვავსა და ბარაქას უსურვებს. ცუდი ფეხის მქონე მეკვლის სახლში შემოშვება არ არის სასურველი. ახალი წელი სხვადასხვა ეპოქაში წელიწადის სხვადასხვა დროს აღინიშნებოდა. შემორჩენილი ცნობების მიხედვით, IV საუკუნეში ახალ წელს 6 აგვისტოს ზეიმობდნენ. VII საუკუნიდან აგვისტოს სექტემბერი ჩაენაცვლა. IX ასწლეულის 20-იანი წლებიდან ახალი წლის ათვლა გაზაფხულის პირველი თვიდან – მარტიდან იწყება. იანვარში ახალი წლის დღესასწაული, საბოლოოდ, XIV საუკუნეში დამკვიდრდა. იანვარში დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიციასთან ერთად ფეხს იკიდებს უამრავი წეს-ჩვეულება.**

საახალწლო რიტუალები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ერთმანეთისგან განსხვავდება, თუმცა ნებისმიერი მათგანის მიზანი ერთია – მოზეიმეები დღესასწაულს ისე უნდა შეხვდნენ, რომ ახალმა წელიწადმა თითოეულ ოჯახს ბედნიერება, ჯანმრთელობა, ხვავი, ბარაქა, სიკეთე და სიხარული მოუტანოს.

თუშეთი

ზამთრის სადღესასწაულო რიტუალებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ახალი წლის შეხვედრა, რომელსაც ხალხი თავის ოჯახის ბედს თუ უბედობას უკავშირებს. ამიტომ თუშებიც თავიანთ „წელწდობას“ მოწიწებით ეგებებიან. საახალწლოდ თუშეთის სოფლებში არაყს ხდიან და ლუდს ადუღებენ. ოჯახებში აცხობენ ერთ გულიან კოტორს „ქრისტეს საგძალს“, კაცზე „ბაცუკაცს“ და ქალზე მრგვალ კვერს. აცხობენ აგრეთვე დამახასიათებელ ნიშნებიან საქონლის კვერებს. ხარისას რქები აქვს, ძროხისას – ცური, ცხვრისას – დუმა, ცხენისა კი ნალის ფორმისაა. ყველა ამ კვერს ხონჩაზე დაალაგებენ და ზედვე დებენ მატყლს, მარილს, ყველს, ერბოს და ამ სუფრას მეკვლის მოსვლამდე ხელს არავინ ახლებს. დიასახლისი აგრეთვე აცხობს სახლის ანგელოზის ან ფუძის ანგელოზის კვერს და „კერის კვერს“. საახალწლოდ ირჩევენ მეკვლეს, რომელსაც მოაქვს პური და ამ პურზე უწყვია ერბო, ყველი, მატყლი და რაიმე ტკბილეული. მეკვლეს ხელში არაყიც უჭირავს. ოჯახში შემოსვლისას პურს შემოაგორებს და იტყვის: **„შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი კვალი ანგელოზისა, კაი წელი გამოგეცვალოთ მრავალი. ერთი ესე, ათასი სხვა. გაგიმრავლოთ შინ ოჯახი, გარეთ საქონი!“**

ხევსურეთი

ხევსურები ახალ წელს „წელწადს“ უწოდებენ და მას დიდი სამზადისით ეგებებიან. ოჯახებში საახალწლო არაყს ხდიან, ხატში დასტურები ლუდს ხარშავენ. დიასახლისი საახალწლო კვერებს აცხობს. ყველაზე დიდი სამეკვლეო კვერია, რომელზედაც გამოსახულია ჯვარი, კაცი, სახნისი, ხარი, ძროხა, ცხენი, ქერის თავთავი და სხვა. შემდეგ დიასახლისი ოჯახის ყველა წევრისთვის აცხობს ბედის კვერებს, თითოეულს თავისი ნიშანი აზის და გამოცხობის დროს, ვისიც აფუვდება, ის ბედიანი და ყისმათიანი იქნებაო. ახალ წელიწადს მამაკაცები ხატში იკრიბებიან და იქ ხატის დარბაზში დროს სმასა და მოლხენაში ატარებენ.

ფშავი

მამლის პირველი ყივილისას დიასახლისი დგება, ჯალაბს ნაყრად (საგზლად) ხმიადს გამოუცხობს, ხონჩაზე დადებს და მას კერის პირზე მიდგამს, გარშემო თაფლ-ერბოიან ჯამებს შემოუმწკრივებს. ოჯახიდან ერთი წყალზე წავა, თან „ნაყრს“ – ყველს და პურს წაიღებს. იქ წყალში ჩააგდებს და სამჯერ იტყვის: **„წყალო, ნაყრი მოგიტანე, ბედი გამომაყოლეო“**. ამ წყალსაც დიასახლისი სუფრასთან მიდგამს და დაილოცება. ამის შემდეგ ოჯახის წევრებს თაფლს და ხილს შეაჭმევს, „დააბერებს“ და ერთმანეთს ეტყვიან: **„ეგრემც ტკბილად დამიბერდიო“**. გადმოიღებენ ხმიადებს, წვნიან ჯამებს და საუზმობენ. ოჯახი უცდის წინა ღამეს ხატში წასული ღამისმთევლების გამობრუნებას, მეკვლეს შემოსვლას და ოჯახიდან არავინ გადის.

სამცხე-ჯავახეთი

სალამო ჟამს დიასახლისი შეუდგებოდა საახალწლო კვერების გამოცხობას. პირველად გამოაცხობდნენ ბასილას, რომელსაც გრძელი წვერი და ნიგვზის თვალები ჰქონდა. შემდეგ აცხობდნენ: „ხარის ქედის“ მრგვალ კვერებს, ცხვრის „ბუჟუნას“, რომლის ცომსაც სახრეზე დაახვევდნენ და ისე გამოაცხობდნენ, „ბედის პური“ დიდი ცხვებოდა და შიგ ატანდნენ თეთრ აბაზიანს. შემდეგ დიასახლისი აცხობდა „ბანის პურებს“ და „ქათამ-წიწილას“ პურებს, რომელსაც ვაშლის ფორმა ჰქონდა და გარშემო ცომის ნისკარტებს უკეთებდნენ. აცხობდნენ სამეურნეო იარაღების ბედის კვერებსაც – ცელს, გუთანს, ძროხის ცურს, პურის ორმოს, ქერისას და დიკისას. ამის შემდეგ სახლის უფროსი კვერებს საახალწლო ტაბლაზე დაალაგებდა. შუაში ესვენა ბასილა, რომელსაც ხელები გულზე ჰქონდა გადაჯვარედინებული. თავთან და ფეხებთან ბასილას ბანის პურებს დაუდებდნენ. ტაბლაზე დადებდნენ თაფლიან ჯამს, ჰალვას, გოზინაყს და ტყვიას. მამლის ყივილისას ამ ტაბლას აიღებდა, ავიდოდა სახლის ბანზე და დარბაზის გვირგვინს სამჯერ შემოუვლიდა ლოცვით; **„ერდოსა შენსა შემოვდგი ფეხი, ჩემო ცოლშვი-**

◎ შემოქახილი თელავიდან

საახალწლო...



სიმღერებით, იმედებით
მოდის წელი ახალი,
არაფერი შეედრება
ამ ზეიმს და ამ ხალისს!..
    სიკეთით და სიყვარულით
    დაიმშვენე ულო, ცავ,
    მზის ქვეშ: ყველას, ყველას, ყველას
    ამ ახალ წელს ვულოცავ!..
წყალს წაეღოს, წარეხოცოს –
წლები მწარე წარსულის,
სინდისს განა ყველა მარხავს? –
სიანკარე მწამს სულის...
    თუმცა, მაღლა ბევრი აძვრა, –
    სანთლის კუპრად მღეჭველი,
    მტრედისფრთება მტაცებელი,
    მოშურნე და მხვეჭველი...
იყო მსგავსი შეცდომებიც, –
ამ ცხოვრების დაფასთან, –
ქრისტე ჯვარზე რომ გააკრეს
და... ბარაბა დაფასდა...
    გლობალიზმის ქარი დაქრის
    და... უბერავს – სულ, ისა...
    გამოცდაა, ბეწვის ხიდზე,
    გადარჩენა სულისა...
თან-თან, წელში გავიშლებით,
მოვიშორებთ: ,,ამო ვალთ“, –
კრედიტებით დასეტყვილნი,
ამ ორმოდან ამოვალთ...
    გაიხსენეთ, გარდასული, –
    ძველისძველი ელადა,
    იმის თავზეც თუ რამდენი,
    ელვა-მეხი ელავდა...
ხსენებაც კი გაქრა მათი,
ვინც წეწავდა განზედა,
რწმენა-რისხვას გაურკინდა,
გადარჩა და გამზევდა!..
    რას ვინატრებ, საახალწლოდ?
    ბედი, თითქოს, კართან ზის,
    სიკეთით და რწმენით ვქსოვდეთ
    საქართველოს კათარზისს...
არაფერი გვეტყობოდეს –
სიჩლუნგის და საპყრობის,
ცის ქვეშ, – არსად ბოგინობდეს:
დამმხობი და დამპყრობი...
    ხალხი დასცემს მტყუან დევს და...
    არვინ ერჩის მართალ დევს,
    სახელმწიფოს – განა, სკიპტრა?-
    კანონები მართავდეს...
პური ჭამოს სამართალმა,
გული გათბეს დამზრალთა,
და... ყველა გზა, ყველა მხრიდან,
მიდიდოდეს ტაძართან...
    ქორწილებში, ძეობებში
    დაიხარჯოს ზედაშე,
    იზეიმოს სიცოცხლემ და...
    ტერორისტთა მზე დაშრეს!..
გევედრებით, კოსმიურო
ძალავ, – თავს რომ გვევლები,
არსად, არსად განმეორდეს
მანჰეტენის ცრემლები!..
    წამქეზებელს მიუბრუნდეს
    ქვა – აფხაზის, ქვა – ოსის,
    მტერს სჭირდება – შარი, შუღლი,
    დომხალი და ქაოსი...
დე, იკმარონ – თავთავისი:
სად – მიწა აქვთ, სად – ზღვები,
არსად, აღარ ირღვეოდეს:
მიჯნები და საზღვრები...
    ქალნი დარჩნენ მზექალებად,
    კაცნი – მზიურ კაცებად,
    არასოდეს, აღარ იყოს
    სხვისი ფუძის ტაცება!..
მტრობა მტერსაც დაავიწყდეს, –
ვთქვათ: ,,რის მტრული“,
,,რა მტრული?!..“
სულ სიტკბოთი შემობრძანდეს
თოვლის პაპა, – ნატრული!..
    ერთი მიზნით განიმსჭვალოს
    დაბლა – ბარი, მაღლა – მთა,
    ხალხის, ქვეყნის ერთგულება
    მეტი ჰქონდეთ ახალთა!..
ალჩუზე რომ დავაყენოთ:
საქმე –
საღვთო,
საერო...
გასაჭრელს კი... დროზე სჭრიდეს:
ევროსაბჭო,
გაერო...
    სადღეგრძელოს სიბრძნით
    ქსოვდეს
    ენა – ტკბილი, ენა – მზე,
    და მშვიდობა ვლოცოთ, უწინ,
    ყველგან, ყველა ენაზე!!!..

ფარნა რაინა
(ფარნაოზ რაინაული)
თელავიდან

თუნდ ყველაფერი იყოს გვიანი, იმედით ცოცხლობს ადამიანი...

მომილოცნია ახალი წელი

ცაზე ყანწივით ჰკიდია მთვარე,
ცა ლამაზია თავისთავადაც...
ფერად მაშხალებს ისვრიან გარეთ
და ლაზათს ჰმატებს სუფრას თამადა.

თორმეტჯერ რეკავს კედლის საათი,
ხარობს ოჯახი და ჯამაათი.

რა საოცარი ეს არის განცდა,
ხარობს მოხუცი და ახალგაზრდა.

არის ამბავი გასაკვირველი,
რომ უხარია ახალი წელი
მოხუცს ბავშვივით, თუმცაღა აკი
მას ემატება წელი, ასაკი...

ემატება და აკლდება კიდეც,
როგორც იტყოდა ოთარ ჭილაძე.
მხცოვანი ასაკს არად დაგიდევთ,
გამოცლის ჭიქას „მტრების ჯინაზე“.

აქვს ადამიანს იმედი, რწმენა,
რომ იქნებ მისცეს ახალმა წელმა
ის, რაც ვერ მისცა გასულმა, ძველმა...

თუნდ ყველაფერი იყოს გვიანი
იმედით ცოცხლობს ადამიანი.
ახალო წელო, ახალო წელო,
ვსვამ სიხარულით შენს სადღეგრძელოს.

ჩემო ქვეყანავ, იყავ დღეგრძელი,
მომილოცნია ახალი წელი.

დე, დაფრინავდეს მშვიდობის მტრედი
უღრუბლო ცაში და ხმელსა ზედა.
ხვალინდელი დღის გვქონდეს იმედი,
აკვანს არწევდეს ქართველი დედა.

მარადისობის ჟამთასვლას
ერთვის დრო,
და გზას უთმობს ახალ წელს
ძველი.
რეკავს საათი, გწყალობდეთ
ღმერთი,
მომილოცნია ახალი წელი!



ბაგრატ ბადიდი
გალაკტიონ ტაბიძის
პრემიის ლაურეატი

საქართველოში

ლო გწყალობდეს ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა, გწყალობდეს წმ. ბასილას მადლი“.

საინგილო (პერეთი)

საინგილოში საახალწლოდ გაამზადებენ ხონჩას; დააწყობენ ზედ პურებს, ლავაშს, დადგამენ ჯამით თაფლს, ერბოს, არაწით ღვინოს, ბამბის წითელ და თეთრ ძაფებს და ერთად წავლენ ვენახის საკვლევად. მივლენ ერთ კარგ მოსავლის მომცემ ვაზთან. სახლის უფალი ჯერ გასხლავს ვაზს, მერე ააგებს, ჭიგოების ჩარჭობის დროს ნიადაგს ღვინით მოალბობენ; იგივე უფროსი ვაზის ძირში დაკლავს წითელ ფრთოსან მამალს, წითელ ფრთებს მოაგლეჯს და ბამბის ძაფით ამ ფრთებს ჭიგოსა და ვაზზე მიაკრავს და თან იტყვის: **„ღმერთო, ქურმუხის საყდარო, შენ ნუ მოგვაკლებ ქვევრებში წითელ ღვინოსა“**. თითო ლუკმა პურს ამოაწებენ თაფლსა და ერბოში, შეჭამენ, ცოტა ღვინოს მოსვამენ და შინ დაბრუნდებიან. მოელიან გარეშე მეკვლესაც, რომელიც უნდა იყოს ვინმე ბედისგან დაუჩაგრავი, ან ნათესავი, ან ნაცნობი. მანამ მეკვლე არ ეწვევათ, არავის მიიღებენ სახლში.

გურია-სამეგრელო

გურია-სამეგრელოში ახალი წლის პირველ დღეს „კალანდა“ ეწოდება და მას თოფის სროლით ეგებებიან. სამეგრელოში ახალ წელს დილაადრიან ოჯახის უხუცესი მამაკაცი მორთული ჩიჩილაკით და ღომის მარცვლიანი ჯამით, რომელზეც კვერცხი დევს, სახლიდან გარეთ გადის ახალი წლის მოსალოცად. გარკვეული რიტუალის შესრულების შემდეგ სახლში შემოდის, ჩიჩილაკს კუთხეში მიაყუდებს, ჯამს იქვე მიუდგამს და თვითონ საახალწლო ტაბლას მიუჯდება, რომელზეც ალაგია: ღორის თავი, ბასილა თავის ხაჭაპურებით, ხილი და სხვა.

ახალ წელიწადს გურიაში მამლის ყივილზე მთელი ოჯახი ფეხზე დგება. მამაკაცები ღორის თავს, ბასილას, საახალწლო გობს სანოვაგით დატვირთულს, მორთულ ჩიჩილაკს და ცარიელ ჩაფს იღებენ და მარნისკენ გაეშურებიან. მარანში შესვლისას ოჯახის უფროსი ხმაამოუღებლად საახალწლო გობს მიწაზე დადგამს, ჩაფს ღვინით გაავსებს და დაჩოქილი წმინდა ბასილას ოჯახის ბედნიერებას შესთხოვს. შემდეგ მეკვლე გობიდან კაკალს იღებს და წმ.ბასილას ეხვეწება, რომ ამ კაკალივით მისი ოჯახი ყოველივე სიკეთით აავსოს. ბოლოს ღორის თავს საწნახელს სამჯერ მიარტყამს და თან ყვირის: **„აგუნა, აგუნა, მიეც ჩვენს სამშობლოს ღვინო და სხვებს ფურცელი“**-ო. ამის შემდეგ პროცესია სახლისკენ გაემართება და ოჯახის წევრებს ულოცავენ.

რაჭა

ზემო რაჭაში საახალწლოდ ორ ბაჭულს აცხობენ, ერთს ახალი წლისთვის, მეორეს ძველისთვის. აცხობენ აგრეთვე ადამიანის სახის კაც-ბასილას და ერთ დიდ პურს „კერია-ბერია“-ს, რომელსაც სხვადასხვა სახეებით აჭრელებენ. ამ ნამცხვრებს ოჯახის უფროსი ცხრილზე დაალაგებს და ბეღელში შეინახავს. მამლის პირველი ყივილისას „მაკვრიელი“ ან მეკვლე ცეცხლს დაანთებს. შემდეგ გარეთ გავა, მარხილზე დაწყობილ ნეკერს მოტეხავს, ჩიჩილაკს აიღებს და ბეღელში შევა. შინ შემოვა ლოცვით **„შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი. დიამც მამივა ახალი წელი: შეძენის და მოგების, მშვიდობის და კარგად ყოფნის, ვაჟიანობის, ღვინიანობის, პურიანობის“,** შემდეგ წყლის მოსატანად წავა. მის დაბრუნებამდე ყველანი დგებიან. მეკვლე ყველას ხელ-პირს დააბანინებს. საუზმის დროს კი ოჯახის ყველა წევრს „კერია-ბერია“-ს უნაწილებენ.

სვანეთი

ახალწლის ღამეს სვანები სხვადასხვა სანოვაგეს გიდელში ჩაალაგებენ და სახლის გასავალ კარზე ჩამოკიდებენ, რომ მეკვლეს მზად დახვდეს. მეკვლე კარზე დააკაკუნებს შემდეგი სიტყვებით: **„ყორ მუკიარ, ყორ მუკიარ** (კარი გააღეთ) **ღერ თემიში იხელწიფი ჟორ ამღვე, ყორ მუკიარ** (ღვთისა და ხელმწიფის წყალობა მომაქვს, კარი გამიღეთ)“. სახლში შესვლისას კერას სამჯერ შემოუვლის, დიდ ჯვარიან პურზე დაანყობს ტკბილეულს და ვერცხლის ფულებს, უფროს-უმცროსობით ყველას დაუვლის და დღესასწაულს ულოცავს.

ქართლი

ქართლში თავდაპირველად აცხობენ ბასილას ქანდაკებას, ოჯახის თითოეული წევრისთვის ორ-ორ ბედის კვერს და თითოს შინაური ცხოველებისთვის. გამთენიისას ოჯახის უფროსი ხონჩაზე ღორის თავს დადებს, ირგვლივ ბედის კვერებს შემოუწყობს და ზედვე ბასილას ქანდაკებას დაასვენებს. ხონჩის ერთ გვერდზე „დასაბერებლად“ თაფლში ამოვლებულ პურის ლუკმებს ჯამით მოათავსებს და ანთებულ სანთლებს მიაკრავს. ამ საახალწლო ხონჩას ქართლში „აბრამიანს“ უწოდებენ.

◎ ჭიდაობა

„კლასიკოსებმა“ მედლები გაინაწილეს

„ახალი თბილისის“ სასპორტო კომპლექსში დამთავრდა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა 2018 წლის საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც უძლიერესნი და პრიზიორები ათ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ. სამდღიანი დაძაბული პაექრობების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: ნუგზარ წურწუმია (55 კგ, ხობი), დავით ჩხარტიშვილი (60, ოზურგეთი), ლევან ქავჟარაძე (63, ოზურგეთი), შმაგი ბოლქვაძე (67, აჭარა), იური ლომაძე (72, ოზურგეთი), თორნიკე ძამაშვილი (77, გარდაბანი), ზურაბ დათუნაშვილი (82, თბილისი), რობერტ კობლიაშვილი (87, გარდაბანი), კუკური კირცხალია (97, თბილისი), იაკობ ქაჯაია (130, წყალტუბო). როგორც ვხედავთ, ნაკრების გამოცდილმა წევრებმა – ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორმა შმაგი ბოლქვაძემ, ევროპის ორგზის ჩემპიონმა ზურაბ დათუნაშვილმა, მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორმა რობერტ კობლიაშვილმა და ახალგაზრდებსა და 23-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონმა იაკობ ქაჯაიამ თავიანთი უპირატესობა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს – ფინალში, შესაბამისად, თორნიკე ჯანგავაძე (ქუთაისი), ლაშა გობაძე (აჭარა), ვარლამ კვარაცხელია (ხობი) და ბექა კანდელაკი (თბილისი) დაამარცხეს.

ფავორიტთა შორის იყო მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი რევაზ ნადარეიშვილიც. მისი ფინალური შეხვედრა საქართველოს ჩემპიონ კუკური კირცხალიასთან სკანდალით დასრულდა: დაძაბულ პაექრობაში ნადარეიშვილი 2:1-ს იგებდა, მაგრამ საფინალო სასტვენამდე მას გაფრთხილება მისცეს. კირცხალიამაც ანგარიში გაათანაბრა და ამ ბოლო ქულის წყალობით ტიტული შეინარჩუნა. საკამათო სწორედ ეს გაფრთხილება გახდა. შეხვედრის შედეგს მწვრთნელთა

შმაგი ბოლქვაძე

შელაპარაკება მოჰყვა, რაშიც მერე ნადარეიშვილიც ჩაერთო – უკმაყოფილება ხმამაღალი ყვირილითა და დამცავ ჯებირზე ფეხის მირტყმით გამოხატა. ინციდენტიც ამით ამოიწურა.

საერთო ქულებით გუნდურ ჩათვლაში აჭარის ნაკრებმა გაიმარჯვა, მეორე ადგილზე ოზურგეთი, ხოლო მესამეზე თბილისი გავიდა. უმთავრესად საქართველოს ჩემპიონებით დაკომპლექტებული საქართველოს ნაკრები 30 აპრილიდან 6 მაისის ჩათვლით რუსეთის ქალაქ კასპიისკში ევროპის ჩემპიონატში იასპარეზებს.

„გადაჭრით ვერ ვიტყვი, რომ საქართველოს ყველა ჩემპიონი წავა ევროპის ჩემპიონატზე, თუმცა, გამორიცხული არაფერია. სამწვრთნელო შტაბთან ერთად გაირკვევა, თუ რამე არის შესაცვლელი. არიან სპორტსმენები, რომლებიც შინ უკეთ ჭიდაობენ, მაგრამ გასვლით ტურნირებში უჭირთ ასპარეზობა. თუმცა, უპირატესობა მაინც საქართველოს ჩემპიონებს ექნებათ“, - თქვა საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბექა როყვამ.

ლაშა დიდია

◎ ჩოგბურთი

ავსტრალიაში ავსტრიელით იწყებს

საქართველოს ნომერ პირველი ჩოგბურთელის ნიკოლოზ ბასილაშვილის პირველი მეტოქე ავსტრალიის ღია პირველობის ძირითადი ბადის სასტარტო წრეში ჯერალდ მელცერი იქნება.

ადრინდელ ურთიერთშეხვედრებში ავსტრიელი ქართველს 1:0-ს ამარცხებს. მელცერი ამჟამად მსოფლიო რეიტინგში 102-ე ნომერია, საუკეთესო შედეგი კი 2016 წელს დააფიქსირა – 68-ე პოზიცია.

ავსტრალიის ღია პირველობა 15-28 იანვარს გაიმართება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კალათბურთი

დურანტის 20 000 ქულა

„გოლდენ სტეიტის“ ფორვარდმა კევინ დურანტმა კარიერაში 20 000-ქულიან ზღვარს გადააბიჯა.

მან „კლიპერსთან“ 106:125 წაგებულ მატჩში 40 ქულა ჩააგდო და 20 015 ქულა დაუგროვდა, რაც ნბა-ს ისტორიაში 44-ე შედეგია.

კევინ დურანტი ლებრონ ჯეიმსის შემდეგ გახდა ყველაზე ახალგაზრდა კალათბურთელი, რომელმაც 20 000-ქულიანი ზღუდე დაძლია.

ვიტალი ჯაფარიძე



◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

„არმია“ - სეზონის ბოლომდე

საქართველოს რაგბის კავშირის, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს ერთობლივი გადაწყვეტილებით, თბილისის „არმია“ მინიმუმ მიმდინარე სეზონის ბოლომდე იარსებებს.

რაგბის კავშირში ზემოთნახსენები უწყებების ხელმძღვანელები კლუბის წარმომადგენლებსა და მორაგბეებს შეხვდნენ და შეთანხმებაც შედგა. თავდაცვის სამინისტრო რაგბის კლუბ „არმიას“ ლიკვიდაციის იურიდიულ მხარეს მაისის ბოლომდე გადადებს, ხოლო კულტურისა და სპორტის სამინისტრო, რაგბის კავშირთან ერთად, მომავალი 4 თვისთვის კლუბის დაფინანსებისთვის საჭირო თანხებს მოიძიებს. გარდა ამისა, რაგბის კავშირი კლუბისათვის სპონსორის მოძიებასაც ეცდება.

გიორგი ბუთხუზი (თავდაცვის მინისტრის მოადგილე): „დღევანდელი შეხვედრის მიზანი იყო, რომ ნათელი მოგვეფინა რაგბის კლუბ „არმიასთან“ დაკავშირებით მიმდინარე მოვლენებისთვის და გვეპოვა გამოსავალი. ერთობლივად მიღებულია გადაწყვეტილება, რომ კლუბი სეზონის ბოლომდე იარსებებს, ოღონდ ის არ დაფინანსდება თავდაცვის სამინისტროსგან“.

შალვა გოგოლაძე (კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე): „ჩვენ ვაფასებთ მორაგბეთა წარმატებებს და მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ქვეყანაში რაგბის განვითარება. სამწუხარო იყო ის, რაც „არმიასთან“ დაკავშირებით ხდებოდა და ამიტომ თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მაისის ბოლომდე არ მოხდება კლუბის ლიკვიდაცია. იმისათვის, რომ გუნდმა განაგრძოს ჩემპიონატში მონაწილეობა და ჰქონდეს ფინანსური უზრუნველყოფა, კულტურისა და სპორტის სამინისტრო რაგბის კავშირთან ერთად მოიძიებს დამატებით თანხებს. ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ სარაგბო კლუბები დავკარგოთ“.

გოჩა სვანიძე (რაგბის კავშირის პრეზიდენტი): „ეს იყო კონსტრუქციული შეხვედრა და სწორი გადაწყვეტილება. თავდაცვის სამინისტრო არ მოახდენს კლუბის ლიკვიდაციას, ხოლო კულტურისა და სპორტის სამინისტრო ჩვენთან ერთად უახლოეს დღეებში მოიძიებს გუნდისათვის საჭირო დაფინანსებას. პარალელურად რაგბის კავშირი „არმიას“ სპონსორის მოძებნაში დაეხმარება“.

კოგა კოგაახიძე

◎ ფეხბურთი

ათიანმა ათეულში შეაბიჯა

ესპანეთის თასის გათამაშების საპასუხო მერვედფინალურ მატჩში „ბარსელონამ“ „სელტა“ შინ 5:0 გაანადგურა და მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა. ამ შეხვედრის მე-13 და მე-15 წუთებზე ლიონელ მესიმ ორი ბურთი გაიტანა.

„კოპა დელ რეიზე“ არგენტინელს 46 გოლი დაუგროვდა, რითაც ტურნირის საუკეთესო ბომბარდირთა ათეულის წევრი გახდა.

ესპანეთის თასზე ყველაზე მეტი – 81 გოლი ტელმო ზარას აქვს გატანილი, რომელიც 1939-57 წლებში სამ ესპანურ კლუბში („ერანდიო“, „ბილბაო“, „ბარაკალდო“), თამაშობდა.

გიორგი ზოთაძე

◎ ოლიმპიზმი

პიონჩანგში პრესცენტრი გაიხსნა

პიონჩანგის ოლიმპიადის დაწყებამდე ერთი თვით ადრე 2018 წლის ზამთრის ოლიმპიური და პარალიმპური თამაშების პრესცენტრი (MPC) გაიხსნა.

იგი ალპენსიას კურორტზე განთავსდა და განკუთვნილია ოლიმპიადაზე აკრედიტებული 2 900-ზე მეტი ჟურნალისტისთვის. MPC თავდაპირველად იმუშავებს დილის 8 საათიდან საღამოს 23 საათამდე, 30 იანვრიდან 26 თებერვლის ჩათვლით კი 24-საათიანი სამუშაო გრაფიკი იქნება.

კომპლექსი სამი შენობისგან შედგება, აქედან ორი Alpensia Convention Hall და Alpensia Concert Hall შესაბამისად დაიტევს MPC 1 და MPC 2-ს. ამათგან, პირველი სამსართულიანი შენობაა, რომელიც პრესისა და ფოტოგრაფების ნავსაყუდელი იქნება. აქვეა სამი საპრესკონფერენციო დარბაზი, საინფორმაციო კუთხე, ახალი ამბების კუთხე, ფოტოსამსახურის ცენტრი, დასასვენებელი კუთხე და კვების ბლოკი.

უმთავრესი საპრესკონფერენციო დარბაზი, რომელიც 500-ზე მეტ ადამიანს იტევს, განთავსებულია MPC 2-ში.

მესამე – MPC 3-ში, რომელიც მარტივი კონსტრუქციებითაა აგებული და დროებითი დანიშნულება აქვს, განთავსებული იქნება 33 მედიაოთახი და 9 ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და 2020 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ოფისი. აქვე იქნება სოკ-ის მედიასამსახური, სოკ-ის ბილეთების კუთხე, ბუკლეტებისა და ბროშურების დაფა, კაფეტერია.

გეჟან დოლიძე

◎ დღესასწაული

წმინდა ბასილი დიდი - ახალი წლის ბედნიერად წარმართველი

14 იანვარს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ახალი წლის პირველ დღეს ზეიმობს, დღესვე არის წინადაცვეთა იესო ქრისტესი, ასევე ხსენება წმინდა ბასილი დიდისა, 15 იანვარს სეროფიმ საროველის ხსენებაა.

ახალი წლის პირველ დღეს ეკლესიაში აღესრულება წმინდა ბასილი დიდის წირვა.

ბასილი დიდი გაიზარდა წმინდანთა ოჯახში, პირველდაწყებითი განათლების მიღების შემდეგ ის სწავლობდა ათენის სკოლაში... შემდეგ ის ძალიან დიდხანს ცხოვრობდა უდაბნოში. მეუდაბნოესთან ის მოღვაწეობდა თავის განუყრელ მეგობართან გრიგოლი ღმრთისმეტყველთან.

აღსანიშნავია ის, რომ ბასილი დიდი მთელი სიცოცხლის მანძილზე მართლმადიდებლობის დამცველი იყო... ჰიპოთეზის თანახმად, ის წარმოშობით საქართველოდან ყოფილა!

საგულისხმოა ისიც, რომ ბასილი დიდი ჩვენთან დიდი პოპულარობით სარგებლობს, რაზეც მეტყველებს ისიც, რომ 14 იანვრისთვის აკეთებენ ჩიჩილაკებს (ტრადიციულად მას თხილის ხისგან ამზადებენ) და მას მოფერებით „ბასილის წვერებს“ ეძახიან.

ჩვენში ოდითგანვე ბასილი დიდს ევედრებოდნენ წლის კეთილად და ბედნიერად წარმართვას.

გიული ლიპარტია

რატომ არსებობს მსოფლიოში მხოლოდ ოთხი ფერის პასპორტი?

მსოფლიოში მხოლოდ ოთხი ფერის პასპორტი არსებობს და თითოეულ ქვეყანას პასპორტის ფერის არჩევის საკუთარი მიზეზი აქვს. ჩვენ შევეცდებით ამ მიზეზებზე მოგითხროთ.

წითელი

ეს ფერი ყველაზე ხშირად გამოყენებადია. წითელი პასპორტი მეტწილად იმ ქვეყნებში შეგხვდებათ, სადაც კომუნისტური სისტემა არსებობდა ან ახლაც არსებობს. სლოვაკეთის, ჩინეთის, სერბეთის, რუსეთის, ლატვიის, რუმინეთის, პოლონეთისა და საქართველოს მოქალაქეებს წითელი პასპორტები აქვთ. ევროკავშირის წევრი ქვეყნებიც, ხორვატიის გარდა, იყენებენ წითელი ან შინდისფერი შეფერილობის პასპორტებს. ქვეყნები, რომლებიც დაინტერესებულები არიან ევროკავშირში შესვლით, მაგალითად, თურქეთი, მაკედონია და ალბანეთი ცვლიან საკუთარი პასპორტის ფერებს. ეს ქვეყნები რამდენიმე წლის წინათ წითელ შეფერილობაზე გადავიდნენ. სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ნაწილის: ბოლივიის, კოლუმბიის, ეკვადორისა და პერუს პასპორტის ფერებიც შინდისფერი შეფერილობისაა.

ლურჯი

წითლის შემდეგ, ლურჯი ყველაზე მეტად გამოყენებადი პასპორტის ფერია. ლურჯი ყდა ახალი სამყაროს სიმბოლოა. ამ ფერს კარიბის ზღვის 15 ქვეყანა იყენებს. ეს ფერი ასევე, სამხრეთ ამერიკულ სავაჭრო კავშირში შემავალი ქვეყნების სიმბოლოცაა — ბრაზილია, არგენტინა, პარაგვაი. ამ შემთხვევაში ვენესუელა გამონაკლისია. ეს ქვეყანა ამ სავაჭრო კავშირის წევრია, თუმცა მისი ქვეყნის მოქალაქეებს წითელი პასპორტი

აქვთ. აშშ-მა საკუთარი პასპორტის ფერი 1976 წელს შეცვალა და ლურჯი გახადა.

მწვანე

მუსლიმი ქვეყნების უმრავლესობას ძირითადად მწვანე ფერის პასპორტები აქვთ. მწვანე წინასწარმეტყველი მუჰამედის საყვარელი ფერი იყო. ეს ფერი მუსლიმებისთვის სიცოცხლის სიმბოლოა. ასევე, ზოგიერთ აფრიკულ ქვეყანასაც აქვს მწვანე შეფერილობის პასპორტი.

შავი

ყველაზე იშვიათი პასპორტის ფერი შავია. ამ ფერის პასპორტის პოვნა ზოგიერთ აფრიკულ ქვეყანაში შეგიძლიათ. ახალი ზელანდიის მოქალაქეებსაც შავი ფერის პასპორტი აქვთ, ვინაიდან შავი ფერი ქვეყნის ეროვნული ფერია.

გიორგი ურუშაძე

ყოფილი მეუღლის მიმართ ძალადობაში ბრალდებულს 10 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

სასამართლომ ყოფილი მეუღლის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში ბრალდებული დამნაშავედ ცნო. რუსთავის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ყოფილი მეუღლის მიმართ ძალადობაში ბრალდებული ჰ.მ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის პირველი ნაწილით.

მოძალადეს ათი თვით აღეკვეთა თავისუფლება.

სოფელ ნაფარეულში 20 წლის გოგონას 10 დღეა, ეძებენ

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაფარეულში მცხოვრებ 20 წლის გოგონას ოჯახი რამდენიმე დღეა, უშედეგოდ ეძებს. ოჯახის წევრების ინფორმაციით, თიკო ხუციშვილი სახლიდან 10 დღის წინათ გავიდა და მას შემდეგ აღარავის უნახავს.

შსს-ში აცხადებენ, რომ სამძებრო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

სანთელი

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი უსამძიმრებს ბატონ ბორის სამსონაძეს მეუღლის

ნელი ხოფერია-სამსონაძის

გარდაცვალების გამო.

მიხეილ ესაკია ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

გიორგი (გია) ჭანტურია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დავით კეზერაშვილი კიდევ ერთხელ გამართლდა

თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი ბიზნესმენებისთვის ქონების ჩამორთმევის საქმეზე გამართლდა. მოსამართლე ნინო ნაჭყებიამ „დაადგინა“, რომ პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები არ იყო საკმარისი ბრალეულობის დასადასტურებლად.



სახელმწიფო ბრალდება თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით კეზერაშვილს ბიზნესმენების თამაზ და ზურაბ ნიჟარაძეებისთვის ქონების უკანონოდ ჩამორთმევას ედავებოდა. გამოძიების ინფორმაციით, 2010 წლის აგვისტოში, საქართველოს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა დავით კეზერაშვილმა, რომელიც იმ პერიოდში, თავის ბიზნესსაქმიანობაში, საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი რანგის თანამდებობის პირების განსაკუთრებული მფარველობით სარგებლობდა, გადაწყვიტა გაეფართოებინა თავისი ბიზნესგავლენის სფეროები და ხელში ჩაეგდო ფოთის პორტში ნავთობპროდუქტების და მშრალი ტვირთების გადამუშავებასთან დაკავშირებული ბიზნესი. პროკურატურის ცნობით, რამდენიმედღიანი ფსიქოლოგიური ზეწოლისა და ძალადობის შემდეგ, ნიჟარაძეებმა კეზერაშვილს ქონება გადაუფორმეს.

ირაკლი კეკელიას მკვლელობის საქმე გახსნილია

28 წლის ირაკლი კეკელიას მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით, შსს განცხადებას ავრცელებს. დანაშაული გახსნილია, ხოლო ბრალდებული — დაკავებული. დაკავებულია ასევე პირი, რომელსაც დანაშაულის დაფარვა ბრალდება. თავად მოკლული კეკელიას ცხედრის პოვნა კი ამ დრომდე ვერ ხერხდება:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1977 წელს დაბადებული ნ.ტ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით, ხოლო 1990 წელს დაბადებული რ.გ., დანაშაულის დაფარვის ბრალდებით დააკავეს. ნ.ტ.-ს მიერ ჩადენილი დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. დანაშაულის დაფარვა კი ისჯება ჯარიმით ან 6 თვიდან 2 წლამდე ვადით შინაპატიმრობით ანდა 1-დან 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით.

2017 წლის 31 დეკემბერს პოლიციას 1989 წელს დაბადებული ი.კ.-ს გაუჩინარების შესახებ მისმა ოჯახმა შეატყობინა. დაკარგულ პირთან დაკავშირებით, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის აბაშის რაიონულ სამმართველოში გამოძიება დაიწყო საქართველოს სსკ-ს 143-ე მუხლით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა). პარალელურად, მიმდინარეობდა გაუჩინარებული პირის ინტენსიური ძებნის ღონისძიებები.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ნ.ტ.-მ 2017 წლის 31 დეკემბერს აბაშაში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, სანადირო თოფიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა ნაცნობს — ი.კ.-ს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. ნ.ტ.-მ კვალის დაფარვის მიზნით ცხედარი მდინარე რიონში გადააგდო. აღნიშნულ ფაქტს შეესწრო და ნ.ტ.-ს დახმარება გაუწია რ.გ-მ., რომელმაც მომხდარის შესახებ პოლიციას არ შეატყობინა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ნ.ტ. აბაშაში, ხოლო რ.გ. ზუგდიდში დააკავეს. ორივე ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი სანადირო თოფი — ნივთმტკიცებად ამოიღო.

ნოტინგჰემის რკინიგზის სადგურს ხანძარი გაუჩნდა

ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში 50-მდე მეხანძრე და 10 ერთეული სპეციალური ტექნიკა იყო ჩართული. საბოლოოდ ცეცხლის ლოკალიზება მოხერხდა. ინფორმაცია მსხვერპლის შესახებ არ გავრცელებულა.

FACEBOOK-ზე ცვლილებები იგეგმება

ამიერიდან Facebook უფრო და უფრო ნაკლებ პოსტებს გიჩვენებთ გვერდებიდან (ზაგეს) და პრიორიტეტს მეგობრების პოსტებს მიანიჭებს.

მარკ ცუკერბერგმა ამის შესახებ გუშინ განაცხადა და მიზეზად უსარგებლო ინფორმაციით გადატვირთული ნიუს ფიდი დაასახელა, რომელიც ამ ბოლო დროს უინტერესო პოსტებით თავს აბეზრებს მომხმარებლებს.

— თუ რომელიმე გვერდისთვის თვალის მიდევნება გინდათ, მაშინ აღნიშნული გვერდი გამოწერილი უნდა გქონდეთ და აქტიურ ინტერაქციაში იყოთ მასთან (პოსტების დალაიქება, კომენტირება, გაზიარება), რათა ფეისბუქმა ჩათვალოს, რომ აღნიშნული გვერდი გაინტერესებთ და არ შეწყვიტოს მათი პოსტების თქვენთვის ჩვენება, - განაცხადა ცუკერბერგმა.

საუდის არაბეთში ქალებისთვის ავტოსალონი გაიხსნა

საუდის არაბეთში ქალებისთვს პირველი ავტოსალონი გაიხსნა. საგამოფენო დარბაზი ჯიდაში მდებარე სავაჭრო ცენტრში განთავსდა. საგანგებოდ ქალებისთვის იქ პრაქტიკულად ყველა წამყვანი მარკის ავტომობილია წარმოდგენილი. ავტოსალონი საუდის არაბეთის მეფის გადაწყვეტილების შემდეგ გახსნეს, რომელმაც ქალბატონებისთვის მართვის უფლების მინიჭება გადაწყვიტა.

იაპონიის იმპერატორის თვითმფრინავს დეტალი გასძვრა

ბოინგ 747-ს, რომელიც იაპონიის პრემიერსა და იმპერეტორს ემსახურება, ფრენისას დეტალი გასძვრა. ხარვეზი კუნძულ ჰოკაიდოზე შენიშნეს, სადაც თვითმფრინავი ტოკიოდან რემონტის შემდეგ გადაიყვანეს. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ დეტალი ფრენის დროს დაიკარგა. სპეციალისტები იმის დადგენას ცდილობენ, შეეძლო თუ არა დეტალის დაკარგვას ფრენის უსაფრთოებაზე გავლენა მოხდენა.

მადლი სიკეთისა

დარწმუნებული ვართ, რომ ბევრი ჩვენგანი, შესაძლოა, ასე კონკრეტულად არც დაფიქრებულა იმაზე, თუ რა არის, არსებითად, ცნება „სიკეთე“?

არადა, სიკეთე — ესაა გულისხმიერება, ადამიანებისადმი გულითადი განწყობა, სხვებისთვის კარგის გაკეთების სურვილი. როცა კი ვინმეს სიკეთეს ვუკეთებთ, ჩვენს ორგანიზმში დოფამინის — ბედნიერების ჰორმონის დონე მატულობს. რაც უფრო მეტი სიკეთეა ადამიანში, მით უფრო ნაკლებად აქვს მას წყენის განცდა.

გამოკვლევებით დადგინდა, რომ კეთილი საქციელი ტალღოვან ეფექტს ქმნის, **ამდენად სიკეთე გადამდებია**: საკმარისია მისი კეთება ვინმემ დაიწყოს, სხვები ინიციატივას უმალ იტაცებენ.

კეთილ საქციელთა ჩადენისას ჩვენი ორგანიზმი ჰორმონ ოქსიტოცინს ათავისუფლებს, რომელიც კარგად მოქმედებს გულის მუშაობაზე, ამცირებს სისხლის წნევას და სიბერის პროცესს ანელებს. სტატისტიკა მოწმობს, რომ **ბოროტ, ანგარებიან ხალხთან შედარებით, კეთილ საქმეთა მქმნელთა შორის სტრესის მიზეზით სიკვდილიანობა 30 პროცენტით მცირეა**. ბრიტანელ მეცნიერთა ექსპერიმენტებმა აჩვენეს, რომ **ახალგამომცხვარი პურის სუნი ადამიანებს უფრო გულკეთილს ხდის**.

ალტრუიზმი — ესაა სხვათა მიმართ უანგარო სიკეთე, რომელიც ადამიანებს სხვა სქესის წარმომადგენელთათვის უფრო მიმზიდველს ხდის. არსებობს ცხოველებში ალტრუიზმის გამოვლინების უამრავი მეცნიერულად დადასტურებული ფაქტი. ეს ცხოველებია — **დელფინები, ძაღლები, კატები, სელაპები.** ეს კი იმას ნიშნავს, რომ თავიანთ მოქცევაში ცხოველები მარტო ინსტინქტებით როდი ხელმძღვანელობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ჩვენთან გაცილებით ახლოს დგანან, ვიდრე საყოველთაოდაა მიჩნეული.

ბუკინისტი იყიდის:

მე-18-მე-19 საუკუნეში გამოშვებულ წიგნებს — 1500 ლარად, საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ფაიფურის სტატუეტებს — 200 ლარად, ძვირად იყიდის 1945 წლამდე გამოშვებულ ჟურნალებს, მისალოცბარათებს, გრავიურებს, ნახატებს, ხელნაწერებს, პლაკატებს, საბავშვო წიგნებს, მოვერცხლილ ან ვერცხლის ჭურჭელს.

591-75-35-38.

გასაცინებელი ა(მ)ბები

ილუზია

— იცი რა, — გული გადაუშალა ლალამ დედას, — ვარშავაში ერთმა ბიჭმა მითხრა, ყველაზე ზრდილი გოგონა ხარო, როგორ ფიქრობ, სტუმრად ხომ არ მოგვეწვია?

— არავითარ შემთხვევაში, გაუშვი ეგრე იფიქროს, ბევრად აჯობებს!

ამანათი

სანატორიუმის ექიმმა ერთ სულით ავადმყოფს, რომელსაც მდგომარეობა შედარებით გაუუმჯობესდა, სანიტართან ერთად ქალაქში გასეირნების ნება დართო. ქუჩაში მიმავალმა როგორც კი თვალი მოჰკრა ლამაზ გოგოს, ის ეგრევე ეცა იმ გოგოს და მხარზე მარკა მიაკრა.

— რას აკეთებ? — შესძახა გაოცებულმა სანიტარმა და ხელში სწვდა.

— ლამაზი გოგოა და ძალიან მომეწონა! — მიუგო მან.

— კი, მაგრამ, მარკა რაღატომ მიაკარი?

— აბა, უმარკოდ ვინ გამომიგზავნის?! — უპასუხა გაკვირვებულმა.

პარადოქსი

ლუდხანაში გალეშილი მთვრალი ზის და ღრიალებს:

— ეგ გატრეტილი რატომ სახლში არ მიდის, — ეკითხება ოფიციანტს ლუდხანის ერთ-ერთი კლიენტი.

— ეგ სახლში მაშინ წავა, როცა სიარულის თავი აღარ ექნება.

შესაფერი კვალიფიკაცია

სახანძრო რაზმის უფროსთან კაცი თხოვნით მივიდა, სამუშაოზე ამიყვანეო.

— ოდესმე თუ გიმუშავიათ სახანძრო რაზმში? — ჰკითხა უფროსმა.

— არა.

— აბა, ადრე სად მუშაობდით?

— ცირკში.

— ცირკში? კი მაგრამ, ჩვენ რაში უნდა გამოგვადგე?!

— ცეცხლს ეგრევე ვყლაპავ.

შორეული დასავლეთი

ცნობილ ადვოკატთან მიდის ბობ როლანდი.

— ცოლთან გაყრა მინდა, — ეუბნება ადვოკატს, მაგიდაზე ჩამოჯდება და სიგარეტს ღეჭავს.

— ბატონი ბრძანდები, — უპასუხებს ადვოკატი, — დადე 100 დოლარი.

— რაო, ასი დოლარიო?! ხომ არ შეიშალე! სულაც 50 დოლარად მოვაკვლევინებ.

დაზუსტება

საავადმყოფოში ხელდაშავებული ქალი მიიყვანეს. ექიმმა პაციენტი გასინჯა და გაკვირვებულმა მხრები აიჩეჩა:

— ასე საშინლად რამ დაგკბინათ? ცხენის ნაკბილარს არ ჰგავს, რადგან უფრო პატარაა, თუმცა არც ძაღლისას ჰგავს, ნამეტანი დიდია...

— მართალი ბრძანდებით, მეზობლის ქალმა დამკბინა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ ან ეოველდღე შეიძინეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ და ამით გადაარჩინეთ თქვენი გაზეთი

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.5671; ევრო - 3.0667;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4643;
100 რუბლი - 4.5016; თურქული ლირა - 0.6756;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5103;
1000 სომხური დრამი - 5.3056.

ამინდი 13 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+9
მთიანი რაიონები -	ღამე	-6,	დღე	+4
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+2,	დღე	+9
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+6
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+7

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:

ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge